საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№ 21
(11 989)

21 – 23 მარტი, 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo




„დინამო“ (თბ) – „ზესტაფონი“

## «ჯიკოს» საჩუქარი ჰოლანდიიდან



საქართველოს სპორტული ორგანიზაციები აღრმავებენ და ამტკიცებენ მეგობრულ ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან. ხშირად თაოსნობას თავად უცხოელები იჩენენ. ჰოლანდიაში ასე გამოუჩნდა გულშემატკივარი საქართველოს 2004-2005 წლების ჩემპიონს, ქალთა კლუბ „ჯიკოს“, როცა ვესტერშალდეს იქაურმა კოლეჯმა „ჯიკო“ სპორტული ფორმით, სპორტული ინვენტარით და ვიდეოკამერით დაასაჩუქრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს ამ ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან აზვლედიანმა** და საპატიო პრეზიდენტმა, ჩვენი ქვეყნის პირველმა ლედმა **სანდრა რულოვსმა**. საჩუქრები კლუბს პირადად გადასცა ქალბატონმა სანდრამ. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ ფრენბურთს ესაჭიროება გენერალური სპონსორი, რომ სპორტის ამ სახეობისადმი უყურადღებობა წარსულს უნდა ჩაბარდეს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საპლაჟო ფრენბურთს. ლ. ახვლედიანმა სიმბოლური სუვენირი გადასცა ს. რულოვსს. პრესკონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ახალი ჩემპიონატი დაიწყება 28 მარტიდან დიდ ჯიხაიშში და 5 აპრილიდან გაგრძელდება თბილისში. ფინალი 5 მაისისთვისაა დაგეგმილი.

**გიორგი დარსაველიძე, მერაბ კილაძე,**
„ლელოს“ „მასტერ კლასის“ მსმენელები სპორტის აკადემიიდან.

სურათზე: სანდრა რულოვსი და ლევან აზვლედიანი (ფოტო რ. ბაგოიანისა)

## ოქრო ოქრუაშვილს



ამ დღეებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდმა ახალგაზრდული შემადგენლობით იასპარეზა როტერდამის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც კალენდარში შესულია „მსოფლიო თასის“ ეგიდით. როგორც საააგენტოები იუწყებოდნენ, ტურნირში არც სხვა ქვეყნები გამოსულან ძლიერი შემადგენლობით. ჩვენებმა მხოლოდ მაღალ წონებში იასპარეზეს წარმატებით. მძიმე წონაში ოქროს მედალს დაეუფლა **ადამ ოქრუაშვილი**, 100 კგ. წონაში კი უძლიერესის სახელი **ლევან რაზმაძემ** დაისაკუთრა. ორივე სპორტსმენი ახალგაზრდაა და მით უფრო გასახარია მათი წარმატება.

## ბერძნულ-რომაულში ორი ბრინჯაო



სოფიაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამართულ „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირში ქართველ ფალავანთა წილად ბრინჯაოს ორი მედალი მოდის. ერთს **ირაკლი ჭოჭუა** (55) დაეუფლა, მერეს — **შალვა გადაბაძე** (84).

## სტარტზეა 200 სკოლა

დღეს, 18 საათზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება სკოლებს შორის „პეპსის თასის“ გათამაშების პრეზენტაცია. გათამაშებაში ჩაებმებიან თბილისის 200 საშუალო სკოლის 10-12 წლის მოზარდთა გუნდები. პრეზენტაციაზე საპატიო სტუმრებს შორის იქნებიან განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **კახა ლომაია**, კულტურისა და სპორტის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი**, თბილისის მერი **გიგი უგულავა**. ასეთი ასპარეზობა საქართველოში ტარდება პირველად. გენერალური სპონსორია კომპანია „პეპსი“.

## დღეს, ხვალ, ზეგ...

დღეს ფეხბურთში ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრები ტირანაში ეთამაშება საქართველოს თანატოლთა ნაკრებს.

ხვალ ალბანეთის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ საფეხბურთო მატჩში უმასპინძლებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

ხვალ კალგარში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, რომელშიაც საქართველოდან პლანეტის მოციგურავეთა ელიტაში აღზევებული ელენე გედევანიშვილიც იასპარეზებს.

ხვალ აზერბაიჯანში იწყება ქალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ტურნირში საქართველოს ქალთა ნაკრებიც მონაწილეობს.

ხვალ და ზეგ მოსკოვში საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდი მულცის მემორიალში იასპარეზებს უფროსი მწვრთნელის **ოლეგ იაძის** ხელმძღვანელობით.

## გარდაიცვალა მუშკეტერთა ლეგენდარული მწვრთნელი

**გუშინ, სამწუხარო ამბავი გვაცნობა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ – 70 წლისა, გერმანიაში, გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა მოფარიკავეთა ცნობილი მწვრთნელი ემილ ბეკი. ეს კაცი გერმანიის ნაკრებს დიდხანს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით სეულის ოლიმპიადაზე გერმანელმა გოგონებმა რაპირაში კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს, რაც იშვიათი შემთხვევაა ოლიმპიადების ისტორიაში. დაშნით ფარიკაობაში კი ბეკის მიერ მომზადებული გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამ ლეგენდარულმა სპეციალისტმა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში სულ 163 მედალი მოუხვეჭა თავის ქვეყანას. მანვე პატარა გერმანულ სოფელ ტაუბერბიშჰოფსჰაიში გახსნა საფარიკაო ცენტრი, რაც უნიკალური მოვლენაა, საერთოდ, მსოფლიო სპორტის ისტორიაში. დღეს ამ სოფელს მთელი პლანეტა სწორედ ბეკის მიერ შექმნილი საფარიკაო ცენტრით იცნობს.**



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## გაიხარეს ქუთათურებმა

ქართული კალათბურთი ვალშია ქუთაისის წინაშე. ამ ქალაქმა მისცა საქართველოს მსოფლიო არენაზე ყველაზე თავგამოჩენილი მოთამაშეები და მწვრთნელებიც. დღეს არ ულხინს ქუთათურ კალათბურთს, მაგრამ იმდენს მაინც ახერხებენ ადგილობრივი მესვეურები, რომ თავად არ იქცნენ ქუთაისური კალათბურთის უმდიდრესი ტრადიციის მესაფლავედ. ასე და ამგვარად, უმნიშვნელო მხარდაჭერის ფონზე მონაწილეობს „ქუთაისი“ ქვეყნის ჩემპიონატში. საქმე იქამდეც კი მივიდა ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, რომ ქუთათურებს შესაბამისი პირობების არარსებობის გამო, შინ საკუთარი გუნდის თამაშის ხილვაც არ შეეძლოთ. იციით, ალბათ, საკუთარი თამაშების სტუმრად ან ნეიტრალურ მოედანზე გამუდმებით ჩატარება, რაოდენ დამთრგუნველია გუნდისთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც.

ახლა მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია. გასულ პარასკევს „ქუთაისმა“ უმასპინძლა „აზოტს“. ასე იმედიანად, უკომპლექსოდ, ქუთაისელებს კარგა ხანი არ უთამაშიათ. „აზოტი“ ჩემპიონატში ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალაა, ამიტომ ასეთ მეტოქესთან თითქმის თანაბარი ძალით თამაში ბევრის მთქმელია. მართალია, მასპინძლებმა მატჩი წააგეს — 72:80, მაგრამ ეს არ იყო „ცალ ფართან თამაში“. ის კი არა, გამორიცხული არ იყო „ქუთაისს“ მოეგო კიდეც ეს შეხვედრა.

ჩემპიონატის მეოთხე წრის XXII ტურის მატჩები, ერთის გამოკლებით, გასულ შაბათს გაიმართა ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში. სსუ — „მაქაბის“ შეხვედრა გადაიდო.

იმ დღის ორივე მატჩი საინტერესო იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩემპიონატის რჩეული გუნდები. ლიდერმა თსუ-„ნიკორამ“, ვერ ვიტყვით, რომ ეს თამაში მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა სტუ-სთან. იქნებ ზედმეტი თავდაჯერებულობა იყო იმ ინერტულობის მიზეზი, რამაც მატჩის პირველი წუთებიდანვე თავი იჩინა და მერე შეუძლებელი გახდა გონს მოგება. თავად განსაჯეთ: თსუ-„ნიკორა“ პირველ მეოთხედს აგებს 6 ქულით (14:20), მეორეს — 9 ქულით (14:23). ეს უკვე საგანგაშო სიგნალი იყო, მაგრამ „ნიკორამ“ მესამე პერიოდშიც წაიფორხილა და 2 ქულით დათმო მატჩის ეს მონაკვეთი — 24:26. აი, დასკვნით პერიოდში კი რეზერვის სრული ამოქმედებით, წაგების ანგარიში მხოლოდ მინიმუმამდე დავიდა — 24:25. საბოლოოდ თსუ-„ნიკორა“ დამარცხდა 76:94, არადა, მიმდინარე ჩემპიონატში სამჯერ სძლია „ნიკორამ“ სტუ, ერთხელაც საქართველოს თასზე...

უფრო სტაბილურად იასპარეზა „ავიამშენმა“, რომელთანაც „დინამომ“ წააგო 86:108 (16:33, 34:14, 26:23, 10:38).

**გუშინ.** „ქუთაისი“ — სსუ 97:70.
**დღეს** ითამაშებენ: „მაქაბი“ — „ავიამშენი“, „დინამო“ - სტუ, „აზოტი“ — თსუ-„ნიკორა“.

**მიმომხილველი.**

## რა ვქნათ, საძოვრად ვაქციოთ?!..

**SOS**

კომბინირებული სპორტული სარბიელის დანიშნულება, განსაკუთრებით ქალაქის საცხოვრებელ მიკრორაიონებში, ყველამ კარგად იცის. აქამდე ცნობილი იყო, რომ ასეთ არენაზე მოსახლეობა, მით უფრო, მოზარდები და ახალგაზრდები თამაშობენ მინიფეხბურთს, კალათბურთს, ხელბურთს და ა.შ. ახლა კი, მაგალითად, დიდ დიღომში 187-ე სკოლის სპორტულ ბირთვს, მომიჯნავე ტერიტორიის წილში ჯერ ავტოსადგომის გაშენების მსურველი ჩაუდგა, ბოლოს სრულიად ახალი დანიშნულება შეიძინა სპორტკომპლექსმა – ნახირსა და ცხვრის ფარას აძოვებენ ფერმერები.

მოგეხსენებათ, ნახირი და ფარა, ვერც ასფალტზე, ვერც მოხრეშილ ადგილზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანზე ვერ მოძოვს. ამას პირუტყვი გუმანით ხვდება და ერთხელ რომ ამაოდ გადაუვლის, შემდეგ იქითკენ პირს აღარ იბრუნებს. ასე რომ, 187-ე საშუალო სკოლა, დედაქალაქში, დიდ დიღომში, უნიკალურ მაგალითს იძლევა, თუ როგორ შევუხამოთ კომბინირებული სპორტული სარბიელი მეცხოველეობის განვითარებას. რა ვქნათ, მართლა საძოვრად და პირუტყვის სათარეშოდ ვაქციოთ დედაქალაქში ყველას თვალწინ ეს სპორტული არენა? ღრმად ვართ დარწმუნებული, არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, არც თბილისის მერია და მით უმეტეს, არც მისი სპორტის საქალაქო სამსახური, ამ „სიახლეს“ არ დაუშვებს. ალბათ, დიდი ხნით არ გადაიწევს ის ბედნიერი დღე, როცა მასობრივი სარგებლობის კეთილმოწყობილ სპორტულ კომპლექსს დანატრებული დიდი დიღმის მოსახლეობა, იმ კეთილ ადამიანებთან ერთად, ვინც ამ ტერიტორიას მიხედავს, თბილისში კიდევ ერთი სანიმუშო სპორტული ობიექტის გახსნას იზეიმებს.



**მიმომხილველი**

## კოკაი მოგება-წაგების კრიტიკულ ზღვარზეა

პროფესიული სუმოს ქართველი ოსტატი ლევან ცაგურია (კოკაი) ისე წარუმატებლად არასდროს გამოსულა, როგორც ახლა, მარტის ბაშოზე, ოსაკაში. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ ჩვენებური სათანადოდ ვერ მოემზადა, წვრთნის პროცესი ბაშოს დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შეწყვიტა, რადგან

იხ. მე-2 გვ.

## შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა: გვსმენია, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას (ფილა) სურს სამბოს მიერთება და თავის რიგებში გაერთიანება. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს?**

**გიგა ნასარიძე, თბილისი.**

**პასუხი:** დიახ, ასეთი მცდელობის შესახებ გვსმენია ჩვენც, მაგრამ ჯერ პოზიციების ლიად დაზვერვა-შემოწმება მიდის მხოლოდ. ფილა ირწმუნება, რომ ასეთი გაერთიანება მოხდება მალე. სამბოს საერთაშორისო და ეროვნული ფედერაციები კი უარზე არიან და გმობენ ფილას პოზიციას. ვინ უნდა შეიტანოს სიცხადე სადავო საკითხში? რაღა თქმა უნდა, ყველაფერი თვით სამბოს სამყაროს ერთიანობაზეა დამოკიდებული. თუ ამ სამყაროს პოზიცია ცალსახად უარყოფითი იქნება, ასეთი გაერთიანება ფილას პრეზიდენტის **რაფაელ მარტინენტის** და მისი თანამოაზრეების დიდი მცდელობის მიუხედავად, არ შედგება.

რაც შეეხება საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციას, მისი პოზიცია მყარია — არავითარი გაერთიანება! ეს პოზიცია გუშინ ტელეფონით საუბრისას დაგვიდასტურა ჩვენი ეროვნული ფედერაციის მენეჯერმა **თენგიზ არაბულმა**.

# მილოცვები

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ვეტერან მოჭიდავეს ფილა-ს არბიტრს **ჯუმბერ დავლიანიძეს.**

* * *

ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი დაბადებიდან საიუბილეო 70 წლისთავს ულოცავს ამავე კავშირის წევრს თავისუფალ ჭიდაობაში, საერთაშორისო მსაჯს **ჯუმბერ დავლიანიძეს.**

* * *

გურამ საღარაძე, დავით ციმაკურიძე, ვახტანგ ბალავაძე, გოგი სხირტლაძე დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ ბრწყინვალე პიროვნებას **ჯუმბერ დავლიანიძეს.**

* * *

„ლელო" უერთდება ამ მილოცვებს.

# იმედი ლერი ხაბელოვის სახელობის სპორტკლუბიდან

თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის ლერი ხაბელოვის სახელობის ჭიდაობის სპორტული კლუბის „იმედის" აღსაზრდელები წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ამ დღეებში სპორტკლუბის ჭაბუკები 12-ჯერ გამოიძახეს დასაჯილდოებლად. თანატოლთა ტურნირში „იმედის" 14 მონაწილიდან 11 მედალოსანი გახდა. ერთი მათგანი — **მგელიკა ცოციაშვილი** (32 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე პრიზიორები გახდნენ **ირაკლი ქადაგიშვილი** (26), **ბადრი კურატაშვილი** (29), **ბესარიონ ჩახიძე** (35), **გიორგი დაბრუნდაშვილი** (38), ბრინჯაოს მედლები კი წილად ხვდათ: **ლევან ზუბაშვილს** (26), **ვალერი ჩიკვილაძეს** (29), **ზაურ მარგიევს** (38), **ლევან დიდებაშვილს** (46), **ზურაბ ბიგვავას** (46), **ხვიჩა გელაშვილს** (50) და **შოთა ბზარაშვილს** (59).

ეს ასპარეზობა გაიმართა ახმეტაში და ამ რაიონიდან ტრაგიკულად დაღუპულ ფალავანთა ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირი ჩატარდა 14 წონით კატეგორიაში. „იმედის" წარმომადგენლების გარდა მონაწილეობდნენ გურჯაანის, თელავის, ყვარლის, დედოფლისწყაროს და ახმეტის ჭაბუკი მოჭიდავეები. სულ კი ხალიჩაზე გამოვიდა 158 სპორტსმენი. „სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 32 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა მგელიკა ცოციაშვილმა, რომელიც ყველას აოცებს ჭიდაობის მანერით და ტექნიკით. ამ ბიჭს უთუოდ დიდი მომავალი აქვს" — თქვა ტურნირის მთავარმა მსაჯმა — გიორგი ნადირაძემ.

დავძენთ, რომ „იმედის" გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა **სოსო ბზარაშვილმა** და **გია ბაყაშვილმა.**

**ცოტნე ბაქრაძე**

# „ნაძალადევმა" ძალდაუტანებლად გაიმარჯვა

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა თბილისელ ჭაბუკებს კიდევ ერთხელ უხმო სპორტულ სარბიელზე — ამჯერად დედაქალაქის მოსწავლეთა ღია პირველობაზე ფრენბურთში. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ნაძალადევი" და „შევარდენი". გაიმარჯვეს ნაძალადეველებმა — 3:0. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მალხაზ სილაგაძე, ლაშა გრიგოლია, არტურ ავეტისოვი, ბესო ნავასარდოვი, შოთა სალბიშვილი, პაატა ფანდოევი, კოტე მანუკიანი, რეზო მურადოვი, ნიკა ნოდია, ვახტანგ ფურცელაძე, მიხეილ სამხარაძე, როლანდ მურადოვი (მწვრთნელი — **გოგა ქართველიშვილი**). მეორე ადგილზე გასული „შევარდენის" მწვრთნელია **მაია ხორიაშვილი.** მესამე იყო „ორბი" (მწვრთნელი — **პავლე მაჩაიძე**).

გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს ფრენბურთში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვაჟა კაჭარავამ** და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ **მერაბ ჩიქობავამ.** საუკეთესო მსაჯს **გია ლომაშვილს** ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** სპეციალური პრიზი გადასცა.

შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიას ცნობილი ვეტერანი ფრენბურთელი **სტანისლავ ბუინოვი** უძღვებოდა.

**დავით დარბაიძე,**
**„ლელოს" „მასტერ კლასის" მსმენელი სპორტის აკადემიიდან.**

# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

## მეჩვიდმეტე ოლიმპიური თამაშები

ამ თამაშების მასპინძელი იტალიის დედაქალაქი რომი იყო. ოლიმპიადა ჩატარდა 1960 წლის 25 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით. მონაწილეობდა 84 სახელმწიფოს 5352 სპორტსმენი, მათ შორის 611 ქალი. ოლიმპიური მედლები გათამაშდა სპორტის 20 სახეობაში.

გათამაშდა მედლების 150 კომპლექტი. ყველა სინჯის უმეტესი მედალი — 103, მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ისინი წინ იყვნენ ოქროს მედლების რაოდენობითაც — 43. დამყარდა 29 ოლიმპიური და 15 მსოფლიო რეკორდი.

თამაშების პროგრამით მძლეოსნობაში 1500-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. თამაშები აღინიშნა მაღალი სპორტული შედეგებით.

ეთიოპიელმა მორბენალმა **აბებე ბიკილამ** მარათონული რბენა ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდით მოიგო — 2:15, 16,2. ვაჟთა შორის 100 მ. რბენაში ოლიმპიური რეკორდით პირველი იყო გაერთიანებული გერმანიის წარმომადგენელი **არმინ ჰარი,** შედეგით 10,2. 200 მ. რბენაში შედეგით 20,5 (ოლიმპიური რეკორდი) პირველი იყო იტალიელი **ლივიო ბერუტი.** 400 მ. ფინალურ გარბენში ექვსმა მონაწილემ აჩვენა სარეკორდო დროზე 46 წმ, ნაკლები: გამარჯვებული ამერიკელი **ოტის დევისი** (44,9) ფოტოფინიშმა გამოავლინა (ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი).




1500 მ. რბენა მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით მოიგო ავსტრალიელმა **ჰერბეტ ელიოტიმ** (3.36,6). 10 000 მ. რბენაში ოლიმპიური რეკორდით პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი **პეტრე ბოლოტნიკოვი** — 28.32,2. მან წარმატებით გააგრძელა მისი თანაგუნდელის ვლადიმერ კუცის წინა ოლიმპიადაზე დაწყებული საქმე.

ქალთა შორის უდიდეს წარმატებას მიაღწია ამერიკელმა **ვილმა რუდოლფმა.** იგი ოლიმპიური რეკორდებით წინ იყო 100 (11,0) 200 (24,0) მეტრ რბენებში და 4X100 მ. ესტაფეტაში. თამაშების ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა გუნდის წარმომადგენლები **თამარა** და **ირინა პრესები.** პირველი უძლიერესი იყო ბირთვის კვრაში — 17,32, მეორე — 80 მ. თარჯრბენში — 10,8. მათი თანაგუნდელი **ლიუდმილა შევცოვა** მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით უძლიერესი იყო 800 მ. რბენაში — 2.04,3.

ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა ძირითადად საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით წარიმართა.

**ბორის შახლინმა** ტანვარჯიშში ოქროს ოთხი (მრავალჭიდი, გუნდური, ხტომა, ტაიჭი) და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქალთა შორის **ლარისა ლატინინას** წილად მოდის სამი ოქრო (გუნდური, მრავალჭიდი, თავისუფალი ვარჯიში), ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა მხოლოდ ერთი ოქროს მედალი დათმეს, რომელიც ჩეხოსლოვაკიელ **ევა ბოსაკოვა — ბეხტოვას** ერგო დვირზე ვარჯიშში.

ვაჟთა ტანმოვარჯიშეებიდან კარგად გამოვიდა იაპონელი ტაკასი ონო, რომელმაც ოქროს — სამი, ვერცხლის — ერთი და ბრინჯაოს ორი მედალი დაიმსახურა.

ცურვაში დამყარდა 9 ოლიმპიური და 6 მსოფლიო რეკორდი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკელთა მიღწევები ამანათრბენში.

ვაჟებში 4X200 მ. ამანათრბენში ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დამყარდა — 8.10,2. იგივე განმეორდა ქალთა კვარტეტის 4X100 მ. ცურვაში — 4.08,9.

ქალთა შორის კოშკურიდან და ტრამპლინიდან წყალში ხტომაში გაიმარჯვა გერმანიის ერთიანი გუნდის წარმომადგენელმა **ინგრად პრემერიმ.**

— ძალოსანთა ასპარეზობაში გათამაშებულ შვიდივე წონით კატეგორიაში დამყარდა ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები.

ამერიკელ მძლეოსან **ვილმა რუდოლფთან** ერთად თამაშების გმირი გახდა საბჭოთა ძალოსანი **იური ვლასოვი.** იგი მძიმე კატეგორიაში გამოდიოდა და ფენომენური შედეგები აჩვენა. მან მოწონება დაიმსახურა როგორც სპორტული აღნაგობით, ისე შედეგებითაც — დაამყარა მსოფლიოს ორი და სამი ოლიმპიური რეკორდი. მისი შედეგი სამჭიდში — 537,5 კგ. მთელი 77,5 კგ-ით სჭარბობდა მეორე პრიზიორის შედეგს. ასეთი სხვაობა მძიმეწონოსან ძალოსანთა შორის არასოდეს ყოფილა.

მეორე საბჭოთა ძალოსნის ჭვემსუბუქ წონოსნის **ევგენი მინაევის** შედეგი სამჭიდში (372,5) მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი იყო და იგი მთელი 35 კგ.-ით სჭარბობდა წინა ოლიმპიადის შედეგს ამავე წონით კატეგორიაში.

ტრეკზე სპრინტერულ რბოლაში და 1000 მ. გიტში გაიმარჯვა იტალიელმა **სენტუ გაიარდონიმ.** 175,380 კმ. საგზატკეცილო რბოლა მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა **ვიქტორ კაპიტონოვმა** — 4:20, 37,0.

დაშნით ფარიკაობაში გუნდურ შეჯიბრებაში პირველი იყო იტალიელი **ელდერადო მანჯაროტი.** ეს იყო მისი მეხუთე ოლიმპიური თამაშები და მეექვსე ოქროს მედალი. სულ მას მოპოვებული აქვს 13 ოლიმპიური — ოქროს — 6, ვერცხლის — 5 და ბრინჯაოს — 2, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატების 20 მედალი, შესაბამისად — 13,2,5 მედალი.

უნგრელი მოფარიკავე **ალდარ გურევიჩი** მონაწილეობდა ექვს ოლიმპიურ თამაშებში (X — XVII) და მოიპოვა ოქროს — 7, ვერცხლის — 1, და ბრინჯაოს — 2 მედალი. ბოლო მედალი მან 51 წლის ასაკში მიითვალა.

შვედმა **გერტ ფრედრიკსონმა** გაიმარჯვა ორადგილიანი ბაიდარებით პაექრობაში. იგი წინა სამ ოლიმპიადაშიც წარმატებით გამოდიოდა. სულ მის ანგარიშზე არის ოქროს — 6, და ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი. ბოლო ჩემპიონობის მოპოვებისას იგი 40 წლისა და 282 დღისა იყო.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში გაერთიანებული გერმანიის „რვიანთა" ნავს მესაჭე 13 წლისა და 283 დღის **კლაუს ბიტნერი** უძღვებოდა. იგი ყველაზე ახალგაზრდა „აკადემიკოსია" სპორტის ამ სახეობაში მოასპარეზეთა შორის.

ოლიმპიური თამაშების ისტორიამ **რომის** ოლიმპიადაზე კიდევ ერთხელ გაიხსენა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების საქმეში დიდი წვლილის შეტანისათვის საბერძნეთის მეფე **გიორგიოსი.** საქმე იმაშია, რომ რომში აფროსანთა პაექრობაში, კლასი „დრაკონის" იახტით ასპარეზობაში ოქროს მედალი მოიპოვა მეფე გიორგიოსის შვილთაშვილმა, პრინცმა **კონსტანტინემ.**





ამ დროს თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობა თავის 64 წელს ითვლიდა.

საქართველოდან წარგზავნილთაგან თამაშებზე 16 სპორტსმენი ასპარეზობდა.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არცთუ დიდ შედეგებს უწინასწარმეტყველებდნენ სპეციალისტები ახალგაზრდა **ავთანდილ ქორიძეს.** მას არ ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზობების დიდი გამოცდილება. სხვანაირად ფიქრობდა სპორტსმენი. მან თამაშებზე გამოავლინა უზადო ტექნიკა. გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა და ვაჟკაცური შემართება. იგი ექვსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და ექვსივეჯერ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

კიდევ უფრო დიდი განსაცდელის წინაშე იდგა სიმაღლეზე მხტომელი **რობერტ შავლაყაძე.** იგი უკვე საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული იყო, მაგრამ მის წინაშე მხტომელთა მსოფლიო ელიტა იდგა. სახელგანთქმული ამერიკელი **ჯონ თომასი,** ასევე საბჭოეთის წარმომადგენლები **ვალერი ბრუმელი** და **ვიქტორ ბოლოშოვი** დიდ ძალას წარმოადგენდნენ. შავლაყაძე არ შეუშინდა მრისხანე მეტოქეებს, მტკიცედ აგრძელებდა მიზნისკენ სწრაფვას და მიაღწია კიდეც საწადელს. საწყისი სიმაღლიდან (1,90 მ) იგი ყოველ სიმაღლეს პირველსავე ნახტომით ძლევდა, ასე ავიდა თამასა 2,16 მ-მდე. რობერტი აქაც პირველი იყო. მისმა მოწინააღმდეგეებმა სიმაღლის დაძლევა ვერ შეძლეს და გამარჯვება ქართველს დარჩა. ეს იყო ამერიკელ მხტომელთა პირველი დამარცხება ოლიმპიურ თამაშებზე.

**საქართველოს სხვა სპორტსმენთა მიღწევები ასეთია:**

**ლერი გოგოლაძე** — წყალბურთი, გუნდური II ადგილი;

**გურამ მინაშვილი** — კალათბურთი, გუნდური II ადგილი;

**ვლადიმერ უგრეხელიძე** — კალათბურთი. გუნდური II ადგილი;

**გიორგი სხირტლაძე** — თავისუფალი ჭიდაობა, 87 კგ. II ადგილი;

**გივი ჩიქვანაია** — წყალბურთი, გუნდური II ადგილი;

**ვლადიმერ რუბაშვილი** — თავისუფალი ჭიდაობა, 62 კგ. III ადგილი.

**გურამ კოსტავა** — ფარიკაობა, დაშნა. გუნდური III ადგილი, პირადი ნახევარფინალი;

**გივი კარტოზია** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 87 კგ. III ადგილი;

**ალექსანდრე შჩერბინა** — მძლეოსნობა. სპორტული სიარული 50 კმ IV ადგილი — 4:31.44,0.

**ნუგზარ ასათიანი** — ფარიკაობა, ხმალი, პირადი მეოთხედფინალი. გუნდური. გამოეთიშა პირველსავე წრეში;

**ვახტანგ ბალავაძე** — თავისუფალი ჭიდაობა, 73 კგ. XI ადგილი.

**იური დიაჩკოვი** — მძლეოსნობა. ათჭიდი. რვა სახეობის შემდეგ, ტრავმის მიღების გამო შეჯიბრებას გამოეთიშა;

**ბორის ნიკიტინი** — ცურვა. ესტაფეტა 4X200 მ. თავისუფალი სტილით, XIII ადგილი;

**რევაზ ქვაჩაკიძე** — მძლეოსნობა, გამორბენით სიგრძეზე ხტომა. ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმა.

**1960 წელი. მეჩვიდმეტე ოლიმპიური თამაშები. სპორტის სახეობებში მოპოვებული მედლების რაოდენობა**

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 43 | 29 | 31 | 103 |
| 2. აშშ | 34 | 21 | 16 | 71 |
| 3. იტალია | 13 | 10 | 13 | 36 |
| 4. გერმანია | 12 | 19 | 10 | 41 |
| 5. ავსტრალია | 9 | 8 | 6 | 23 |
| 6. თურქეთი | 7 | 2 | - | 9 |
| 7. უნგრეთი | 6 | 8 | 8 | 22 |
| 8. პოლონეთი | 4 | 6 | 11 | 21 |
| 9. იაპონია | 3 | 8 | 7 | 18 |
| 10. ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 3 | 8 |
| 11. რუმინეთი | 3 | 1 | 6 | 10 |
| 12. დანია | 2 | 3 | 2 | 7 |
| 13. დიდი ბრიტ. | 2 | 5 | 13 | 20 |
| 14. ახალი ზელან. | 2 | - | 1 | 3 |
| 15. ბულგარეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 16. შვედეთი | 1 | 2 | 3 | 6 |
| 17. იუგოსლავია | 1 | 1 | — | 2 |
| 18. პაკისტანი | 1 | — | 1 | 2 |
| 19. საბერძნეთი | 1 | — | — | 1 |
| 20. ეთიოპია | 1 | — | — | 1 |
| 21. ნორვეგია | 1 | — | — | 1 |
| 22. შვეიცარია | - | 3 | 3 | 6 |
| 23. საფრანგეთი | — | 3 | 3 | 6 |
| 24. ბელგია | — | 2 | 2 | 4 |
| 25. ირანი | — | 1 | 3 | 4 |
| 26. ფინეთი | — | 1 | 2 | 3 |
| 27. ნიდერლანდ. | — | 1 | 2 | 3 |
| 28. სამხ. აფრიკა | — | 1 | 1 | 2 |
| 29. ეგვიპტე | — | 1 | 1 | 2 |
| 30. ავსტრია | — | 1 | - | 1 |
| 31. კანადა | — | 1 | — | 1 |
| 32. ინდოეთი | — | 1 | — | 1 |
| 33. განა | — | 1 | — | 1 |
| 34. მაროკო | — | 1 | — | 1 |
| 35. პორტუგალია | — | 1 | — | 1 |
| 36. სინგაპური | — | 1 | — | 1 |
| 37, ტაივანი | — | 1 | — | 1 |
| 38. არგენტინა | — | 1 | 1 | 2 |
| 39. ესპანეთი | — | — | 2 | 2 |
| 40. ვესტინდ. ფედ. | — | — | 2 | 2 |
| 41. ბრაზილია | — | — | 1 | 1 |
| 42. მექსიკა | — | — | 1 | 1 |
| 43. ვენესუელა | — | — | 1 | 1 |
| 44. ერაყი | — | — | 1 | 1 |
| 45. არაბთა გაერთ. | — | — | 1 | 1 |
| სულ | 150 | 150 | 160 | 460. |

**1960 წელი. მეჩვიდმეტე ოლიმპიური თამაშები. სპორტის სახეობებში გათამაშებული მედლების რაოდენობა**

| სპორტის სახეობა | ვაჟი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| 1. აკად. ნიჩბოსნობა | 7 | — | 7 |
| 2. აფროსნობა | 5 | — | 5 |
| 3. ბაიდარა, კანოე | 5 | 2 | 7 |
| 4. ბალახის ჰოკეი | 1 | — | 1 |
| 5. ველოსპორტი | 6 | — | 6 |
| 6. თან. ხუთჭიდი | 2 | — | 2 |
| 7. კალათბურთი | 1 | — | 1 |
| 8. კრივი | 10 | - | 10 |
| 9. მძლეოსნობა | 24 | 10 | 34 |
| 10. სროლა | 6 | — | 6 |
| 11. ტანვარჯიში | 8 | 6 | 14 |
| 12. ფარიკაობა | 6 | 2 | 8 |
| 13. ფეხბურთი | 1 | — | 1 |
| 14. ცურვა | 8 | 7 | 15 |
| 15. ცხენოსნობა | 5 | - | 5 |
| 16. ძალოსნობა | 7 | — | 7 |
| 17. წყალბურთი | 1 | - | 1 |
| 18. წყ. ხტომა | 2 | 2 | 4 |
| 19. ჭიდაობა — ბ/რ | 8 | — | 8 |
| 20. ჭიდაობა — თავ. | 8 | — | 8 |
| სულ | 121 | 29 | 150 |

**დავით კინწურაშვილი,**

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №2-დან

# დებიუტანტი

## ლევან (ლუკა) გიორგობიანი

**(ფეხბურთი)**




**სიმაღლე** — 150 სმ

**წონა** — 38 კგ.

**არის** თბილისის 39-ე სკოლის VI კლასის მოსწავლე

**ფეხბურთში** მეცადინეობს 2003 წლიდან

**მწვრთნელი** — მალხაზ კურდღელაშვილი

**მოგებული აქვს** თანატოლთა შორის რამდენიმე ტურნირი

**რამდენჯერმე** დასახელდა საუკეთესო მეკარედ

**გარდა ფეხბურთისა,** გატაცებულია ცურვით.

**ქართულ ფეხბურთში** მისი კერპია აკაკი დევაძე, უცხოელებიდან — ბუფონი.

# საბჭო უხელმძღვანელებს

**საქართველოს სპორტის აკადემიაში გაიმართა ქართული ჭიდაობის ფედერაციის აღმასკომის გაფართოებული სხდომა.**

აღმასკომმა გასული სპორტული სეზონის მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და დასახა მომავალი გეგმები.

ვინაიდან ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ალექსი დავითაშვილი** პატიმრობაშია, აღმასკომის წევრთა გადაწყვეტილებით, შეიქმნა ხუთკაციანი საბჭო, რომელიც ფედერაციის ახალი ხელმძღვანელის არჩევამდე გაუძღვება ქართულ ჭიდაობას.

აპრილის პირველ ნახევარში ამ წლის პირველი შეჯიბრება — საქართველოს ჭაბუკთა პირველობა გაიმართება **ლევან თედიაშვილის** სახელობის სპორტკომპლექსში.

# კოკაი მოგება-წაგების კრიტიკულ ზღვარზეა

**პირველი გვერდიდან**

მამა გარდაეცვალა და საქართველოში იყო ჩამოსული. ერთი კია, როგორ ფორმაშიც უნდა იყოს კოკაი, განსაკუთრებით ხელეწიფება ჩემპიონთა ძლევა. ამჯერად მისი მსხვერპლი გახდა ოძეკის ტიტულისა და იმპერატორის თასის ხუთგზის მფლობელი **კაიო,** რომელმაც ქართველთან ამ მარცხის შემდეგ გადაწყვიტა, საერთოდ წავიდეს სუმოდან. ის ახლა 33 წლისაა. კოკაის შემდეგი მეტოქე იყო მონღოლი სეკივაკე **ჰაკუჰო.** ეს ბრძოლა კოკაიმ წააგო. მერე კი მარცხის სიმწარე კვლავ მონღოლთან **ასაშორიუსთან** იწვნია. კოკაის ბალანსი ამის შემდეგ 2:6 გახდა. მომდევნო შეხვედრა ცაგურიას მასზე უარესი ბალანსის (1:7) მქონე **ტოკიცჟუისთან** ჰქონდა. კოკაიმ ეს შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

# „სპორტილუზიონი“ რეალობა თუ ილუზია?




ხდება ხოლმე, ხმაურით იწყება ამა თუ იმ სიახლის დამკვიდრება, მერე გავა დრო და აღმოჩნდება, რომ ყველაფერი ეს ილუზია ყოფილა, დავიწყებას ეძლევა. დროის გამოცდას ხომ ყველა და ყველაფერი ვერ უძლებს.

საქართველოს ტელესივრცეში პირველი სტერეო კარგად ცნობილი არხია, მაგრამ ნუ მიწყენენ მისი ხელმძღვანელები, ეს არხი უფრო ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც მის პროგრამაში „სპორტილუზიონმა“ დაიმკვიდრა ადგილი. ასე რომ, თუ ვინმეს ეგონა კარზე მორიგმა ილუზიამ მოგვიკაკუნა, ძალიან შეცდა. გადაცემამ გაამართლა.

ვინც გამოჩენილ კინორეჟისორს, ქართული სპორტის ისტორიაზე დოკუმენტური ფილმების ავტორს ალექსანდრე **ჟღენტს** კარგად იცნობს, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ წარმატებული ახალი ტელეპროგრამის მოწმე გავხდებოდით. მაგრამ თავიდან ამ გადაცემის იდეის ავტორის და სამხატვრო ხელმძღვანელის ა. ჟღენტის ვინაობა, მხოლოდ ძალიან ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. აკი ვთქვით, ყველაფერი უხმაუროდ დაიწყო. „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“ და გამოაჩინა კიდეც — მშვენიერი სპორტული გადაცემა მივიღეთ პირველი სტერეოს ცისფერი ეკრანის მეშვეობით. პროგრამამ უკვე მოიპოვა მაყურებლის სიმპათია და ყოველ შაბათს, როცა ამ გადაცემისთვის განკუთვნილი დრო დგება, ქართო მაყურებელი მოუთმენლად მოელის დანაპირებს.

2003 წელს ა. ჟღენტის „სტადიონი“ წარდგენილი იყო საერთაშორისო ფესტივალზე და მთავარი პრიზი დაისაკუთრა. მაშინ პრემირებულ ფილმზე რეცენზია ასეთი სათაურით დაიბეჭდა: „სტადიონი თავისუფლების კუნძული“. აი, რა კარგად დაინახა, ბევრი ჩვენიანისგან განსხვავებით, უცხო თვალმა და გონებამ ფილმის არსი.

ხსენებული ფილმის გარდა „სპორტილუზიონმა“ უკვე აჩვენა „გურია! გურია! გურია!“, „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“, „გვჭირდება თუ არა სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში“, „პირველი ეროვნული“, პროგრამა კი დაიწყო ლენი რიფელშტალის ორსერიიანი ფილმით „ოლიმპია“. ასევე ორი გადაცემა მიეძღვნა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობას.

ორ თვეზე მეტია „სპორტილუზიონი“ გვაბრუნებს წარსულში, გვიცოცხლებს ერთხელ უკვე განცდილს, ახალგაზრდა თაობას კი ასწავლის ქართული სპორტის ისტორიას, განაცდევინებს სიამაყეს, აძლევს განსჯა-ანალიზის შესაძლებლობას.

„სპორტილუზიონმა“ წარმოუდგენლად მოკლე დროში გაიტანა ლელო მაყურებელთა გულებში. ისტორია პირუთვნელია და ზოგიერთს, დღეს, შეიძლება ეუხერხულება კიდეც ადრინდელი პოზიციის საჯაროდ გამომზეურება. ეგ არაფერი, ესეც ცხოვრებაა, ჩვენ ხომ იმ ეპოქიდან გამოვდიოდით, როცა 220 მილიონ კაცს ერთი აზრი ჰქონდა. ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა კი გარდაუვალ „მშობიარობას“ აჩქარებდა.

მიხვდით, ალბათ, იმ ფილმზე ვლაპარაკობთ, რომელსაც ორი გადაცემა მიუძღვნა „სპორტილუზიონმა“. შეიძლება დღეს ამ გადაცემასაც გამოუჩნდეს მოწინააღმდეგე, როგორც თავის დროზე დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს. ეს დოკუმენტური კადრები, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიპეტიებს ასახავს. მაშინ, საზოგადოების გამორჩეულად გონიერმა ნაწილმა იცოდა, რომ ეს იყო ამავე დროს ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის.

ნანახი განსაკუთრებით იმათთვის იყო, სულისშემძვრელი, ვინც იმჟამინდელი პროცესების და მოვლენების შუაგულში ტრიალებდა. მე პირადად ამ ფილმმა, რაოდენ გასაკვირადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, მხოლოდ ახლა, 15 წლის შემდეგ მამცნო სრული სიმართლე თუ როგორ გააკრიტიკეს „ლელო“ და მეც, მისი რედაქტორი, იმავდროულად მაშინ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე (კრიტიკაში თანამდებობების დასახელებით მოგვიხსენიეს სიმწვავისათვის) სფფ-ს დამფუძნებელ ყრილობაზე ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისათვის გამორჩეულად აქტიურობისა და ღიად მხარდაჭერისათვის. ამ ყრილობას მე, სამწუხაროდ, ვერ ვესწრებოდი, რადგან საავადმყოფოში ვიწექი. ამიტომ, მინდა ახლა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც იმ ყრილობაზე „ლელოსა“ და ჩემს დასაცავად გამოვიდა. ჩათვალეთ, რომ ეს დაგვიანებული მადლობაც და იმ პერიოდის რეალობის გაცოცხლებაც, ასე სრულად, ვერანაირად ვერ მოხერხდებოდა, რომ არა ის კინოდოკუმენტი, რომელმაც ობიექტური რეალობა შემოგვინახა და ახლა „სპორტილუზიონმა“ შემოგვთავაზა განსასჯელად წარსული.

დიახ, „სპორტილუზიონი“ არ არის მხოლოდ ფილმების ჩვენება, აქ, ფაქტობრივად, წინა პლანზეა წამოწეული ეროვნული სპორტის საჭირბოროტო საკითხები.

გასულ შაბათს „სპორტილუზიონმა“ მაყურებელს უჩვენა პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნა თბილისსა და სოხუმში. ეროვნული სულიკვეთებით გაჟღენთილმა ამ ფილმმა მაყურებელთა, მათ შორის დევნილთა დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია.

პროგრამის წამყვანი **რამაზ ჩახვაშვილი** ამბობს, რომ გადაცემის შინაარსი თანდათან გამრავალფეროვნდება, იგეგმება მთელი რიგი სიახლეები, რომელზედაც საუბარი ბატონმა რამაზმა ჯერ არ ისურვა, რადგან სიურპრიზად შესთავაზებენ მაყურებელს. მაყურებელს კი, როგორც ზემოთ ითქვა, სულ უფრო და უფრო მეტს იკრებს ეს პროგრამა. წამყვანს უკვე ქუჩაშიც სცნობენ, ეს კი წარმატების უტყუარი დასტურია.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**

## ბავშვთა ფეხბურთი

## ფინალი — «დინამოს» და «ლომის» ძალა...

ბამბის ნართის ფაბრიკის სტადიონზე დასრულდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მინიფეხბურთელთა საგაზაფხულო ტურნირი 1995 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ფინალურ ეტაპზე გავიდა ოთხი საუკეთესო გუნდი, აქედან ორი „დინამოსი“ (უფროსი მწვრთნელი რეზო ბარამიძე, მწვრთნელი — ირაკლი კენჭაძე). აგრეთვე — „ლომები“ (მწვრთნელი — ზურაბ ურდულაშვილი) და „გლდანი-39“ (მწვრთნელი — მალხაზ კურდღელაშვილი). მესამე ადგილისთვის მატჩში გლდანელებმა 2-0 აჯობეს „დინამო 2“-ს.

პირველობისთვის „დინამო 1“ და „ლომები“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრაში 2-1 დაფიქსირდა დინამოელთა სასარგებლოდ.

საუკეთესოებისთვის დაწესებული პრიზები გადაეცათ: მეკარისა — ლუკა გიორგობიანს (გლდანი-39), მცველისა — ვახტანგ ქოქოსაძეს, ნახევარმცველისა — გოგა ცუხიშვილს (ორივე — „დინამო“), თავდამსხმელისა — ირაკლი ქირიას, ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა — გიორგი გაბოძეს (ორივე — „ლომები“).




ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.




# ჩვენ ვართ ჭეშმარიტებისა და სიმართლის მოსარჩლენი

გასულ წელს ერთმა ავტორმა „ლელოში“ სხვადასხვა დროს ორი სტატია გამოაქვეყნა. მათი სათაურებია: „ოთარ გაბელია“ და „ალფრედო დი სტეფანო“ (არაფერს ვამბობ ამავე ავტორის უხამს სტატიაზე ლანჩხუთის „გურიასთან“ დაკავშირებით („ლელო“ 24-28.05.05 წელი, №39).

ალფრედო დი სტეფანოსადმი მიძღვნილ სტატიაში ავტორი წერს:

— „ალფრედო დი სტეფანოს“ საფეხბურთო ტალანტის გაფურჩქვნა მსოფლიოს გამოჩენილ საფეხბურთო კლუბს, მადრიდის „რეალს“ და მისი მაშინდელი მწვრთნელის ელენიო ერერას სახელს უკავშირდება. იგი, რეალში“ ოცდაათი წლისა მოვიდა და ეს კლუბი ორმოც წელიწადს მიღწეულმა დატოვა“.

ორი დიდი შეცდომაა ამ მცირე ზომის ამონარიდში.

დავიწყებ მეორედან:

ალფრედო დი სტეფანო დაიბადა 1926 წლის 4 ივლისს. მადრიდის „რეალში“ ჩაირიცხა 1953 წელს. ამ პერიოდისათვის ეს დიდი ფეხბურთელი 27 წლის იყო. მას 30 წლამდე სამი წელი უკლდა. ეს დრო ფეხბურთელისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ეს ერთი.

მეორე: ელენიო ერერა მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი არასოდეს არ ყოფილა. ალფრედო დი სტეფანოს უდიდესი წარმატებები „რეალში“ 1955 წლიდან დაიწყო, როცა გუნდმა 1955-56 წ.წ. ევროპის ჩემპიონთა თასის I გათამაშებაში გაიმარჯვა, დაამარცხა რა 1956 წლის 13 ივნისს „სტად რეიმსი“ (საფრანგეთი) — 4-3. “რეალის“ მწვრთნელი გახლდათ ხოსე ვილიალონგა. მადრიდელებმა ასეთივე წარმატებას მიაღწიეს 1957-58-59 და 60 წ.წ.-ში. 1957 წელსაც ხ. ვილიალონგა წვრთნიდა „რეალს“. 1958 და 59 წ.წ. მადრიდელთა გუნდს ლუის კარნილია ხელმძღვანელობდა. 1960 წელს „რეალის“ მწვრთნელი იყო „გუშინდელი“ რეალელი მოსუნ მიგელ მუნიოსი. 1964 წელს მადრიდის „რეალი“ კიდევ ერთხელ (მანამდე 1962 წელს ითამაშა ფინალში და დამარცხდა ლისაბონის „ბენფიკასთან“) გავიდა ფინალში. ამჯერად წააგო მილანის „ინტერნაციონალთან“ (იტალია) — 1-3. სწორედ ამ გუნდის („ინტერნაციონალის“) მწვრთნელი გახლდათ ელენიო ერერა. მატჩი შედგა 1964 წლის 27 მაისს ვენაში „პრატერ სტადიონზე“. თამაშის დამთავრების შემდეგ ელენიო ერერამ განაცხადა, რომ ეს დღე უბედნიერესი იყო მის ცხოვრებაში. მან, როგორც ამბობდნენ, შური იძია დი სტეფანოზე.

ქართველი მეკარისადმი მიძღვნილ ნარკვევში ავტორი გვაუწყებს:

„... ამ მატჩში (საუბარია 1979 წლის საბჭოთა კავშირის თასის ფინალზე — „დინამო“ (თბ) — „დინამო“ (მ) — ნ.მ.) ოთარ გაბელიამ საოცარი ნებისყოფა გამოავლინა და ვალერი გაზაევისაგან დარტყმული 11-მეტრიანის მოგერიებით, თბილისის „დინამოს“ სანუკვარი თასი, ორი წლის შემდეგ კვლავ დაუსაკუთრა“.

ცდება პატივცემული ავტორი. ოთარ გაბელიამ ვალერი გაზაევისაგან დარტყმული 11-მეტრიანის მოგერიებით თბილისის „დინამოს“ სანუკვარი თასი სამი წლის შემდეგ — 1979 წელს „დაუსაკუთრა“ , და არა ორი წლის შემდეგ.

თბილისის „დინამომ“ პირველად თასი 1976 წლის 3 სექტემბერს მოიპოვა. დაამარცხა რა ფინალში ერევნის „არარატი“, ხოლო მეორედ — 1979 წლის 11 აგვისტოს, დაამარცხა რა ფინალში (პენალტებით) მოსკოვის „დინამო“.

შემდეგ ავტორი წერს: —“... ოთარ გაბელიამ საკავშირო ჩემპიონატებში 188 შეხვედრა ჩაატარა, თასზე — 27. ამას გარდა, მონაწილეა 72 საერთაშორისო მატჩში.“

სცდება (და მერე როგორ) პატივცემული ავტორი. უპირველესად აღვნიშნავ, რომ აჯობებდა ავტორს ეთქვა: „ამას გარდა, იგი (ოთარ გაბელია — ნ.მ.) 72 საერთაშორისო მატჩის მონაწილეა“, ან მან (ოთარ გაბელიამ — ნ.მ.) მონაწილეობა მიიღო 72 საერთაშორისო მატჩში.

ახლა ციფრობრივი შეცდომების შესახებ. ოთარ გაბელიამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ჩაატარა 300 მატჩი. მათ შორის 271 — თბილისის „დინამოში“, ხოლო 29 ქუთაისის „ტორპედოში“. ოთარი საბჭოთა კავშირის თასის 38 მატჩის მონაწილეა (თბილისის „დინამო“), ხოლო 102-ჯერ ითამაშა საერთაშორისო შეხვედრებში (თბილისის „დინამო“).

(იხ. გარუნ აკოფოვი — „დინამო“ თბილისის (2002 წ.); ზურაბ თევდორაძე თბილისის „დინამო“ ციფრებში (1999 წელი); „ვინ ვინაა მსოფლიოს ფეხბურთში“ (ყოველკვირეული „ფუტბოლის“ ბიბლიოთეკა, 1990 წ.).

აღნიშნული ციფრები მკვეთრად განსხვავდება ავტორის მიერ მოყვანილი ციფრებისაგან.

გასულ წელს „ლელომ“ რამდენიმე ნომერში დაბეჭდა „ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი“. ამ წერილში ორ უზუსტობაზე (იმ მრავალთაგან) შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

1. ავტორი წერს: — „დანიის ნაკრების წინააღმდეგ დიდებულად ისპარეზა ვლადიმერ ბარქაიამ. მან სამი შესანიშნავი ბურთი გაიტანა“. (ლაპარაკია მატჩზე სსრკ — დანია 6-0, მოსკოვი, 27 ივნისი, 1965 წელი — ნ.მ.)

ტყუილია. ამ მატჩში ვ. ბარქაიამ 2 გოლი გაიტანა (69-ე და 77-ე წუთებზე).

2. ერთ მონაკვეთში ავტორი გვაუწყებს: — „ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან შესვენებისას გასახდელში მყოფი ტანს ზემოთ გახდილი გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე და ილია დათუნაშვილი, რომლებიც ყურადღებით უსმენენ მწვრთნელს. ამ, თუ სხვა ფოტოებიდან, კარგად ჩანს, თუ ფიზიკურად რა კარგად იყვნენ განვითარებულნი დინამოელი ფეხბურთელები ტანს ქვემოთ, რაც უდავოდ საფეხბურთო ვარჯიშების შედეგია. მაგრამ ტანს ზემოთ საოცრად სუსტად ყოფილან განვითარებულნი“.

უპირველესად პატივცემულ „მეცნიერს“ უნდა მივუთითო, რომ უმჯობესი იქნებოდა ასეთი არაფრისმთქმელი ფრაზები არ დაეწერა. თუ მაინც დაწერდა, უნდა ეთქვა: „წელს ზემოთ და წელს ქვემოთ“ და არა „ტანს ზემოთ და ტანს ქვემოთ“.

... ფართო ფორმატით იბეჭდება „ლელოში“ ერთ-ერთი პატივცემული ჟურნალისტის მოგონებები. მრავალი შეცდომაა აღნიშნულ ჩანაწერებში. მე სამ მათგანზე მოგახსენებთ.

1. საუბრობს რა, ბრაზილია — ესპანეთის მატჩზე ჩილეს, 1962 წლის ჩემპიონატზე, ავტორი ამბობს:

— „ისიც ვიცი, რომ ალფრედო დი სტეფანო არ გამოიყვანა ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა ხოსე ვილიალონგამ. მათ შორის კონფლიქტი წარმოშობილა თურმე“.

ცდება პატივცემული ავტორი. 1962 წელს ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე, ესპანეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გახლდათ ელენიო ერერა.

2. მიმოიხილავს რა, 1960 წლის 31 ოქტომბრის ფინალურ მატჩს — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) — 4-3, ავტორი ამბობს:

— „ცაპოვეცკის სასტვენი დუმდა, როცა გუსაროვმა 9-მეტრიანი თამაშგარე მდგომარეობიდან გახსნა ანგარიში“.

ჯერ ერთი, თამაშგარე მდგომარეობა მეტრებითა და სანტიმეტრებით არ განისაზღვრება. ეს აბსურდია, მეორე: გენადი გუსაროვმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა მეორე ბურთი. პირველი გოლი მან თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან მოათავსა სერგო კოტრიკაძის კარში.

3. ცნობისათვის მინდა ვუთხრა პატივცემულ ავტორს, რომ რიო-დე-ჟანეირო პორტუგალიურ ენაზე ნიშნავს „იანვრის მდინარეს“ და არა „ზამრის მდინარეს“.

ასეთია, მოკლედ ზოგიერთი ავტორის მიერ დაშვებული უზუსტობანი.

... —“ ჩვენ ვართ სიყვარულის მოსარჩლენი“ — ბრძანებს პოეტი.

ჩვენ, ჟურნალისტები, ამავე დროს სიმართლისა და უტყუარობის მოსარჩლენიც ვართ.

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.**

(დასასრული,
დასაწყ. იხ „ლელო“ №20)

# ნაკრები ალბანეთშია

საქართველოს როგორლაც შეკოწიწებული ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები გუშინ გაემგზავრნენ ალბანეთში და დღეს და ხვალ ორ მატჩს გამართავენ. ალბანელთა და ქართველთა ახალგაზრდული გუნდები დღეს, თბილისის დროით 17:30 საათზე სტადიონ „სელმან სტერმაშზე" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეროვნული ნაკრებები კი ხვალ, თბილისის დროით 21:00 საათზე სტადიონ „ქემალ სტაფაზე" ითამაშებენ. **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ პარასკევს პრესკონფერენციაზე გამოცხადებული ნაკრებების შემადგენლობა ისევ გადახალისდა. ეროვნულ ნაკრებს ლეგიონერთა კიდევ ერთი ჯგუფი, **ხიზანიშვილი, კანდელაკი, მჟავანაძე** და **ალექსანდრე იაშვილი** გამოაკლდა. შევსება კი თბილისის „დინამოდან" მოვიდა — ეროვნულში მცველი **გიორგი შაშიაშვილი,** ახალგაზრდულში მეკარე **გიორგი ლორია.** სამწუხაროდ, ნაკრებთა სრულფასოვანი კომპლექტაცია ჯერ ისევ პრობლემურია. თუმცა, ამის უპირველესი მიზეზი მაინც ის არის, რომ 21 და 22 მარტი საერთაშორისო სანაკრებო მატჩების დღეები არ არის. ნაკრების გერმანელი თავკაცი იმედოვნებს, რომ მომავალში, შემდგომ ამხანაგურ თუ ოფიციალურ მატჩებში, ეროვნული თუ ახალგაზრდული გუნდების უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს.

ქართველებთან საპაექროდ უძლიერეს ნაკრებს ვერც ალბანელთა დამრიგებელი **ჰანს-პეტერ ბრიგელი** გამოიყვანს. პრობლემები თითქმის ანალოგიურია. ტრავმების, სათასო და საჩემპიონატო მატჩების გამო, ალბანელებსაც ნაკრების ძირითადი ბირთვი დააკლდათ. საქართველოსა და ალბანეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები დღეს და ხვალ, ერთმანეთს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდებიან:

**საქართველოს ეროვნული ნაკრები. მეკარეები:** გიორგი ლომაია („ლუჩი", რუსეთი), გრიგორ ჭანტურია („ზესტაფონი"), ნუკრი რევიშვილი („რუბინი", რუსეთი);

**მცველები:** მათე ღვინიანიძე („ლოკომოტივი", რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო", ლატვია), გიორგი ფოფხაძე („ოლიმპიაკოსი", საბერძნეთი), გიორგი ონიანი („ბათუმი"), ზურაბ ხიზანიშვილი („ბლექბერნ როვერსი", ინგლისი), ილია კანდელაკი („ჩერნომორეცი", უკრაინა), კახა მჟავანაძე („ჩერნომორეცი", უკრაინა), გიორგი შაშიაშვილი („დინამო");

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა („არსენალი", უკრაინა), გიორგი განუგრავა („ზესტაფონი"), ზაალ ელიავა („სკონტო", ლატვია), ლევან მაღრაძე („ქსანტი", საბერძნეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკის „სპარტაკი", რუსეთი), ბექა ქღენტი („ტორპედო", რუსეთი), კახა ალადაშვილი („დინამო", უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ვასილ გიგიაძე („ტავრია", უკრაინა), ლაშა ჯაკობია („მეტალისტი", უკრაინა), გიორგი ჴელიძე („ლოკომოტივი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია).

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მეკარე:** ლადო ნადირაშვილი, გიორგი ლორია („დინამო");

**მცველები:** დავით გიგაური („დინამო"), გიორგი სეთურიძე („ბათუმი"), გიორგი ნავალოვსკი („დინამო"), აკაკი ხუბუტია („კაუნასი", ლატვია), დავით მჭედლიშვილი („ამერი"), გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი"), გულვერდ თომაშვილი („დინამო"), ვალტერ ხორგუაშვილი („ტირასპოლი", მოლდოვა);

**ნახევარმცველები:** რევაზ გეწაძე („ბორჯომი"), ლევან ხმალაძე („სიონი"), მირზა ბჟალავა („ამერი"), გიორგი ჴელიძე („ზესტაფონი"), ალექსი ბენაშვილი („ზესტაფონი"), გოგი ფიფია („ზესტაფონი"), კახა მახარაძე („დინამო"), გიორგი მერებაშვილი („დინამო");

**თავდამსხმელები:** სანდრო იაშვილი („დინამო"), ნიკა გელაშვილი („ვიტ ჯორჯია"), ბექა გოცირიძე („ზესტაფონი").

**ალბანეთის ეროვნული ნაკრები:** ილიონ ლიკა (დინამო), ისლი ჰიდი (ტირანა), არმენდ დალკუ (ვორსკლა, უკრაინა), დეპატიკ კური (ვორსკლა, უკრაინა), არიან პიშა (ტირანა), ალთინ ლალა (ჰ ანოვერი, გერმანია), ალთინ ჰაჯი (ანორთოსისი, კვიპროსი), კლოდიან დურო (ტირანა), ერვინ შქელა (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ანსი აგოლი (ქსამაქსი, შვეიცარია), არდიდ ბეჭირი (პარტიზანი), ერიონ ბოგდანი (სიენა, იტალია), ბეჭნ კასტრატი (მიონხენგლადბახი, გერმანია), ჰამდი სალიჰი (ტირანა), ეთმონდ კაპოლანი (კარლსრუე, გერმანია), რედი იუპი (დიაბაქისპორი, თურქეთი), დორიან ბილიბაში (პარტიზანი), ერიონ ჯაფა (დინამო), ადმირ ტელი (ვლაჩნია), ენდრი რაპი (ელბასანი).

**ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრები:** ანდრია კოლიჭი (ირაკლისი, საბერძნეთი), ჯიმი ტუპითა (სავონა, სან-მარინო), ოლსი ბიშანი (ვლაჩნია), ანდი ლილა (ბესა), ერიონ დუშკუ (კასტრიოტი), იეთმირ სეფა (ტირანა), მარლონ დოლაკუ (ტეუტა), გილმან ლიკა (ვლაჩნია), რეზტაილდ აგოლი (სკენდერბეუ), ალდო ბელო (კერიკი), დენის მემა (აპოლონია), ერალდ გუნა (ფლამურტარი), ორიად აბაზაი (შკუმბინი), ელეანდრო პემა (დინამო), ელის ბაკაი (პარტიზანი), არბერ აბილალიაი (პარტიზანი), ბესიონ ჩელიკუ (ტირანა), ბლედიონ გუგა (ფლამურტარი), ალდო დირმიში (ტრიესტინა, იტალია).

# ნახევარფინალისტები ცნობილია

დ. ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი.

თბილისი. მ. მესხის სახელობის სტადიონი. 1000 მაყურებელი.

## დინამო თბ - ზესტაფონი 0-0 (პირველი მატჩი 0-1)

დინამო: გრიშიკაშვილი, ამბროზიო, გიგაური, შაშიაშვილი, აკობია, ლ. ნოზაძე, ბურდული, ნავალოვსკი (ვიეირა 76), დარასელია, იაშვილი (მელქაძე 79), ბობოხიძე (მერებაშვილი 60)

ზესტაფონი: ჭანტურია, ძამსაშვილი, თოდუა, ღონღაძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, ბ. ნოზაძე, ჭელიძე (ბენაშვილი 69), განუგრავა, ფიფია (ნუდნი 89), იონანიძე (ძარია 90).

გაფრთხილება: თოდუა (33), აკობია (72), ბურდული (89)

მსაჯი: მ. მაისურაძე

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დავით ყიფიანის სახელობის მეოთხედფინალური დაპირისპირების განმეორებითი შეხვედრა გაიმართა, თბილისის „დინამოსა" და ზესტაფონის „ზესტაფონს" შორის. პირველ მატჩში იმერლებმა მინიმალური ანგარიშით 1-0 დაამარცხეს დინამოელები. შესაბამისად, გუშინდელი ორთაბრძოლა დიდ ინტერესს იწვევდა, არც უმაყურებლობა იგრძნობოდა სტადიონზე.



მართალია, შეხვედრის პირველ წუთებში მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ მათ მოქმედებას ეფექტურობა აკლდა. მე-13 წუთზე კი ჩხეტიანის გრძელი გადაცემით მასპინძელთა საჯარიმოში ბურთს ზურაბ იონანიძე დახვდა, თუმცა მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა მას ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცა, მე-20 წუთზე კვლავ ჩხეტიანი გააქტიურდა. ამჯერად იერიშის დასრულება თვითონვე ითავა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მასპინძლებმა პირველი რეალური საგოლე მომენტი 24-ე წუთზე შექმნეს - დარასელიას მიერ ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ სტუმართა საჯარიმოში არეულობა შეიქნა, ყველაზე ადრე გონს შაშიაშვილი მოეგო, რომელმაც ბურთი სტუმართა კარისკენ გაგზავნა, აქ კი მცველებმა ითამაშეს უშეცდომოდ. მალევე ისევ დარასელიამ მოახერხა ბურთის ხელში ჩაგდება, თუმცა, მეკარე გიორგი ჭანტურიამ მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგერია.

36-ე წუთზე ბურდულმა საჯარიმოს ხაზიდან ახლო კუთხეში გაგზავნა ბურთი, გამოცდილმა ჭანტურიამ ბურთის ხელში დაფიქსირება ვერ მოახერხა, მაგრამ ამით იქვე მყოფმა ბრაზილიელმა ამბროზიომ ვერ ისარგებლა. გოლის გატანის არაერთი შანსი ჰქონდა სანდრო იაშვილს. მან ერთ მომენტში მეტოქის კარის ბადის შერხევაც მოახერხა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა მაისურაძემ ბობოხიძეზე ხელით თამაში დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა.

მასპინძლები ბევრს აქტიურობდნენ, თავს არ ზოგავდნენ ზესტაფონელთა კარი რომ აეღოთ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუშინ მათ ფორტუნა არ სწყალობდათ.

ურიგოდ არც იმერლებს უთამაშიათ, ყველა ფეხბურთელმა თავისი საქმე პირნათლად შეასრულა, რისი შედეგიც გამოდგა მშრალად შენახული საკუთარი კარი და შესაბამისად, ნახევარფინალის საგზური.

ასე რომ, თბილისის „ამერს", ბოლნისის „სიონსა" და „ვიტ-ჯორჯიას" გუშინ მეოთხე ნახევარფინალისტიც შეემატათ. ამ სტადიაზე თუ რომელ გუნდს რომელთან მოუწევს ჭიდილი, ამას 28 მარტის კენჭისყრა გადაწყვეტს, რომელიც 15 საათზე დაიწყება.

**გუშინ,** სფფ-ს სამსაჯო კომიტეტის სადისციპლინო კომისიამ განიხილა მატჩის არბიტრის **მ. მაისურაძის** მიერ არჩათვლილი გოლის თაობაზე თბილისელთა სფფ-ში შემოტანილი სარჩელი, გაეცნო ვიდეომასალას და დაადგინა, რომ მსაჯის გადაწყვეტილება მართებული იყო და მისი მხრიდან მიკერძოება არ ყოფილა.

საკითხის განხილვისას კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსაჯმა გარკვეული შეცდომები დაუშვა, რისთვისაც იგი უმაღლეს ლიგაში ორ მატჩს ვერ იმსაჯებს.

# უეფაში კონგრესზე

ხვალ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი,** გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ქავთარაძე** უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაემგზავრებიან, სადაც უეფას XXX კონგრესი გაიმართება. ევროპული ფეხბურთის დიდი თავყრილობა 23 მარტს დაიწყება და 25 მარტს დასრულდება. კონგრესის მიმდინარეობის თაობაზე, იქ განხილულ საკითხებზე ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, ვრცლად ალბათ, უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ გააცნობენ მასმედიას.

# გოგონები აზერბაიჯანში

საქართველოს 19-წლამდე ქალთა საფეხბურთო ნაკრები გუნდი სფფ-ს ქალთა ფეხბურთის კოორდინატორის **მაია ჯაფარიძის** ხელმძღვანელობით, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირისთვის ერთი კვირა სფფ-ს ტექნიკურ ცენტრში ემზადებოდა. ჩვენი გოგონები მეზობელი ქვეყნის დედაქალაქში გუშინ, მატარებლით გაემგზავრნენ. ხვალიდან კი საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან. ქართველი გოგონები ბაქოში სამ მატჩს გამართავენ და თანმიმდევრულად თურქმენ, აზერბაიჯანელ და რუს თანატოლებს დაუპირისპირდებიან. საქართველოს 19-წლამდელ ქალთა საფეხბურთო ნაკრები ბაქოდან თბილისში შაბათს, 25 მარტს დაბრუნდება.

# პირველი ლიგა

**გადატანილი მატჩი**

მეშახტე — მესხეთი 1-1

**XXIII ტური. ანონსი**

მერანი — ზუგდიდი
ამერი2 — ჩიხურა
იმედი — მეშახტე
მალაროელი — მესხეთი
რუსთავი — ლიახვი
გაგრა — დინამო2
ვიტ ჯორჯია 2 — საგარეჯო
თბილისი2 — მეშაქრე
გურია — ზესტაფონი2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 22 | 17 | 3 | 2 | 62-22 | 54 |
| მერანი | 22 | 15 | 3 | 4 | 35-15 | 48 |
| გაგრა | 22 | 13 | 6 | 3 | 33-15 | 45 |
| დინამო2 | 22 | 12 | 5 | 5 | 36-14 | 41 |
| ამერი2 | 22 | 12 | 5 | 5 | 31-14 | 41 |
| გურია | 22 | 10 | 4 | 8 | 34-27 | 34 |
| რუსთავი | 22 | 9 | 7 | 6 | 32-24 | 34 |
| მეშაქრე | 22 | 10 | 3 | 9 | 31-24 | 33 |
| მესხეთი | 22 | 9 | 6 | 7 | 31-23 | 33 |
| ვიტ ჯორჯია2 | 22 | 8 | 5 | 9 | 21-22 | 29 |
| ზუგდიდი | 22 | 7 | 5 | 10 | 12-19 | 26 |
| მეშახტე | 22 | 6 | 8 | 8 | 21-21 | 26 |
| საგარეჯო | 22 | 6 | 4 | 12 | 22-32 | 22 |
| ზესტაფონი2 | 22 | 6 | 3 | 13 | 18-37 | 21 |
| თბილისი2 | 22 | 5 | 6 | 11 | 19-32 | 21 |
| მალაროელი | 22 | 5 | 4 | 13 | 21-44 | 19 |
| იმედი | 22 | 5 | 1 | 16 | 14-48 | 16 |
| ლიახვი | 22 | 4 | 0 | 18 | 18-58 | 12 |

# რეგიონალური ლიგა

**დასავლეთი. იმერეთი**

**XI ტური**

ქახაბერი — სულორი 1-1
ტორპედო2 — სამტრედია 0-1
ნ. დინამო (ქ) — შუქურა 1-4
რაჭა — მერცხალი 2-1
ზესტაფონი 3 — დინამო 2 (ბთ) 0-2

**სამეგრელო**

**XVII ტური**

მგლები — კოლხეთი 2 (ფ) 2-1
კოლხეთი (ხ) — სამეგრელო 1-0
დინამო (ზ) — სქური 1-5
თოლია — სალხინო 4-3

**აღმოსავლეთი.**

**XVIII ტური**

ერთობა — დურუჯი 1-3
სამგორი — დილომი 1-1
ცხუმი — ხალიბი 0-0
ალგეთი — ამერი3 0-2
ოჩამჩირე — ნ. დინამო2 0-2
კახეთი2 — ალაზანი 3-1
ამირანი (ნახ) — ნ. დინამო 0-0
მაუდი — გარეჯი 3-1

**ცენტრალური. XXII ტური**

პეტროვიჩი — ივერია 1-1
მეტეხი — 35-ე სკ 0-5
ჩიხურა2 — გორი 2-0
ბორჯომი2 — ზოოვეტი 2-0
ამირანი (თბ) — სკონ-აკადემია 0-2

# რეგიონალური ლიგა

**სატურნირო მდგომარეობა**

**ცენტრალური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა2 | 22 | 15 | 4 | 3 | 60-17 | 49 |
| ბორჯომი2 | 22 | 15 | 2 | 5 | 46-24 | 47 |
| ზოოვეტი | 22 | 13 | 4 | 5 | 32-18 | 43 |
| აკადემია | 22 | 13 | 2 | 7 | 44-20 | 41 |
| გორი | 22 | 9 | 5 | 8 | 39-35 | 32 |
| ამირანი (თბ) | 22 | 9 | 1 | 12 | 24-32 | 28 |
| 35-ე სკ | 22 | 7 | 5 | 10 | 37-39 | 26 |
| იბერია | 22 | 6 | 5 | 10 | 22-34 | 24 |
| პეტროვიჩი | 22 | 3 | 5 | 14 | 21-56 | 14 |
| მეტეხი | 22 | 3 | 0 | 19 | 20-70 | 9 |

**იმერეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 11 | 7 | 2 | 2 | 25-8 | 23 |
| რაჭა | 11 | 6 | 3 | 2 | 16-12 | 21 |
| მერცხალი | 11 | 6 | 2 | 3 | 16-14 | 20 |
| ქახაბერი | 11 | 5 | 5 | 1 | 17-8 | 20 |
| სამტრედია | 11 | 5 | 5 | 1 | 11-6 | 20 |
| დინამო2 (ბთ) | 11 | 4 | 4 | 3 | 12-9 | 16 |
| სულორი | 11 | 2 | 5 | 4 | 10-12 | 11 |
| ზესტაფონი3 | 11 | 3 | 1 | 7 | 11-16 | 10 |
| იმერეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-20 | 9 |
| ტორპედო2(ქ) | 11 | 1 | 3 | 7 | 8-19 | 6 |
| ნ. დინამო(ქ) | 11 | 0 | 5 | 6 | 7-20 | 5 |

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილომი | 18 | 14 | 3 | 1 | 44-9 | 45 |
| ამერი3 | 18 | 13 | 4 | 1 | 44-7 | 43 |
| ნ. დინამო 2 | 18 | 13 | 3 | 2 | 33-13 | 42 |
| ნ. დინამო | 18 | 11 | 6 | 1 | 40-9 | 39 |
| ოჩამჩირე | 18 | 10 | 2 | 6 | 39-24 | 32 |
| ცხუმი | 18 | 9 | 2 | 7 | 40-28 | 29 |
| სამგორი | 18 | 8 | 3 | 7 | 37-35 | 27 |
| მაუდი | 18 | 7 | 5 | 6 | 24-23 | 26 |
| კახეთი2 | 18 | 7 | 4 | 7 | 27-18 | 25 |
| გარეჯი | 18 | 6 | 4 | 8 | 17-18 | 22 |
| ხალიბი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-26 | 19 |
| ალაზანი | 18 | 5 | 2 | 11 | 11-28 | 17 |
| ამირანი (ნახ) | 18 | 4 | 3 | 11 | 22-36 | 15 |
| ალგეთი | 18 | 3 | 4 | 11 | 23-52 | 13 |
| დურუჯი | 18 | 2 | 2 | 14 | 15-58 | 8 |
| ერთობა | 18 | 0 | 3 | 15 | 13-63 | 3 |

**სამეგრელო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ) | 17 | 11 | 3 | 3 | 31-13 | 36 |
| მგლები | 17 | 10 | 4 | 3 | 31-16 | 34 |
| კოლხეთი2(ფ) | 17 | 9 | 3 | 5 | 37-22 | 30 |
| სქური | 16 | 9 | 2 | 5 | 32-18 | 29 |
| თოლია | 17 | 6 | 4 | 7 | 28-29 | 22 |
| დინამო (ზ) | 16 | 5 | 3 | 8 | 24-39 | 18 |
| სალხინო | 15 | 4 | 0 | 11 | 22-44 | 12 |
| სამეგრელო | 17 | 1 | 3 | 13 | 15-39 | 6 |

# ჭაბუკთა ლიგა

**88-89-წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 16 | 12 | 1 | 3 | 44-7 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 3 | 2 | 37-10 | 36 |
| ტორპედო | 16 | 10 | 2 | 4 | 42-28 | 32 |
| კოლხეთი1913 | 16 | 10 | 1 | 5 | 34-22 | 31 |
| ზესტაფონი | 16 | 9 | 4 | 3 | 38-11 | 31 |
| სპარტაკი | 16 | 9 | 1 | 6 | 33-17 | 28 |
| ლოკომოტივი | 16 | 9 | 1 | 6 | 31-24 | 28 |
| დინამო (ბთ) | 16 | 8 | 2 | 6 | 31-31 | 26 |
| თბილისი | 16 | 7 | 5 | 4 | 28-14 | 26 |
| ამერი | 16 | 6 | 1 | 9 | 18-29 | 19 |
| კახეთი | 16 | 5 | 1 | 10 | 18-40 | 16 |
| სიონი | 16 | 4 | 3 | 9 | 19-39 | 15 |
| ბორჯომი | 16 | 3 | 4 | 9 | 22-43 | 13 |
| ცხინვალი | 16 | 3 | 2 | 11 | 15-45 | 11 |
| დინამო (სხ) | 16 | 2 | 5 | 9 | 12-29 | 11 |
| დილა | 16 | 1 | 2 | 13 | 8-41 | 5 |

**90-წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 16 | 14 | 1 | 1 | 52-10 | 43 |
| თბილისი | 16 | 11 | 3 | 2 | 45-17 | 36 |
| ამერი | 16 | 11 | 2 | 3 | 48-16 | 35 |
| ლოკომოტივი | 16 | 10 | 4 | 2 | 63-16 | 34 |
| დინამო (სხ) | 16 | 10 | 3 | 3 | 37-13 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 4 | 4 | 42-19 | 28 |
| დინამო (ბთ) | 16 | 9 | 0 | 7 | 25-21 | 27 |
| ზესტაფონი | 16 | 8 | 1 | 7 | 39-30 | 25 |
| სპარტაკი | 16 | 7 | 2 | 7 | 34-24 | 23 |
| სიონი | 16 | 7 | 1 | 8 | 38-40 | 22 |
| კოლხეთი1913 | 16 | 5 | 4 | 7 | 16-26 | 19 |
| ტორპედო | 16 | 4 | 4 | 8 | 19-31 | 16 |
| დილა | 16 | 3 | 1 | 12 | 15-53 | 10 |
| კახეთი | 16 | 2 | 2 | 12 | 16-47 | 8 |
| ცხინვალი | 16 | 1 | 2 | 13 | 10-42 | 5 |
| ბორჯომი | 16 | 1 | 0 | 15 | 7-101 | 3 |

**91-წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 11 | 4 | 1 | 59-8 | 37 |
| სპარტაკი | 16 | 11 | 4 | 1 | 44-7 | 37 |
| დინამო (ბთ) | 16 | 11 | 2 | 3 | 50-16 | 35 |
| კოლხეთი1913 | 16 | 11 | 2 | 3 | 40-17 | 35 |
| დინამო (სხ) | 16 | 10 | 2 | 4 | 38-9 | 32 |
| დინამო (თბ) | 16 | 9 | 3 | 4 | 39-19 | 30 |
| ტორპედო | 16 | 9 | 3 | 4 | 28-20 | 30 |
| დილა | 16 | 8 | 3 | 5 | 30-23 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 6 | 7 | 3 | 37-18 | 25 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 1 | 9 | 34-36 | 19 |
| ამერი | 16 | 3 | 7 | 6 | 23-17 | 16 |
| კახეთი | 16 | 2 | 6 | 8 | 12-23 | 12 |
| სიონი | 16 | 3 | 1 | 12 | 17-57 | 10 |
| ზესტაფონი | 16 | 3 | 0 | 13 | 22-43 | 9 |
| ცხინვალი | 16 | 2 | 1 | 13 | 16-47 | 7 |
| ბორჯომი | 16 | 0 | 0 | 16 | 4-133 | 0 |

# საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**გადატანილი მატჩი**

**ცენტრპოინტი — იბერია 1-7**

გუშინ გამართული ერთი გადატანილი მატჩით დასრულდა ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის ოთხწრიანი ტურნირი. გამოვლინდა ის ოთხი გუნდი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას პლეი-ოფებში გააგრძელებს. საუკეთესო ოთხეულის ნახევარფინალური მატჩები 10-12-14 აპრილს, ფინალური შეხვედრები კი 15-17-19 მაისს გაიმართება. პლეი-ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: საბურთალო — იბერია; ნიკორა — ცენტრპოინტი.

**ფუტსალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპოინტი | 32 | 28 | 1 | 3 | 283-126 | 85 |
| იბერია | 32 | 27 | 2 | 3 | 216-89 | 83 |
| საბურთალო | 32 | 21 | 4 | 7 | 249-171 | 67 |
| ნიკორა | 32 | 18 | 1 | 13 | 159-140 | 55 |
| ბერმუხა | 32 | 14 | 2 | 16 | 186-201 | 44 |
| აჭარა | 32 | 9 | 1 | 22 | 134-193 | 28 |
| იმედი | 32 | 8 | 2 | 22 | 151-221 | 26 |
| ქართლი | 32 | 7 | 3 | 22 | 136-210 | 24 |
| სოხუმი | 32 | 3 | 2 | 27 | 147-310 | 11 |

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №41 (55) მარტი, 2006 წელი

## საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის

# თბილისის თასი და ყველა ოქროს მედალი საქართველოში დარჩა







KARATE-DO INTERNATIONAL TOURNAMENT
TBILISI 2006
空手道

19 მარტს, ახალგაზრდებს შორის „თბილისის თასი 2006“ გათამაშდა საერთაშორისო ტურნირის რანგში. საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ თავის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირების სიაში კიდევ ერთი მაღალი დონის შეჯიბრი ჩაატარა. ტურნირში 300-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა.

ტურნირში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გარდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ. გასული წლის მსგავსად, წელსაც საკმაოდ პრინციპული და დაძაბული ტურნირი იყო, როგორსაც თავად ორგანიზატორები – საქართველოს სპორტის დეპარტამენტო, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია და მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია ელოდნენ,ვინაიდან, ყველა ქვეყანამ მხოლოდ საუკეთესოები წარმოადგინა.

„თბილისის თასი ყოველ წელს უფრო და უფრო პრესტიჟული ხდება, რასაც აქ მონაწილე ქვეყნების რაოდენობა და კარატისტების მაღალი დონეც ნათლად უჩვენებს. მინდა აღვნიშნო, რომ წლევანდელი თბილისის თასის გათამაშება უფრო მაღალ დონეზე ჩატარდა – ყველა სპორტსმენში იგრძნობა ოსტატობის ზრდა. ჩვენ, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, ყოველ ძალას ვიხმართ იმისათვის, რომ საქართველოში კარატე უფრო მაღალ დონეზე განვითარდეს და მსოფლიო ასპარეზზე კიდევ უფრო დიდ შედეგებს მივაღწიოთ“, – ტურნირის საზეიმო გახსნაზე აღნიშნა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

მედლების რაოდენობის მიხედვით საქართველომ უცილობელი პირველი ადგილი დაიკავა და „თბილისის თასი 2006“-იც ჩვენთან დარჩა, მეორეზე აზერბაიჯანი გავიდა, ხოლო მესამე ადგილს სომხეთი დასჯერდა.

წლევანდელი თბილისის თასის გათამაშება კიდევ იმით იყო განსხვავებული, რომ კახა ბასილიამ სახელობითი თასებით დააჯილდოვა საუკეთესო ინსტრუქტორები და კლუბების პრეზიდენტები: *გელა პავლიაშვილი* ამ ტურნირზე გუნდის წარმატებული გამოსვლისთვის, *ზურაბ ბლიაძე* საჩხერეში აქტიური მუშაობისთვის, *ვაჟა უნგიაძე* საუკეთესო ტექნიკური სპორტსმენების მომზადებისთვის, *ნოდარ ხაჯიშვილი* წლის საუკეთესო გუნდის მომზადებისთვის, *მერაბ თურქია* გურიაში კარატეს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, *ბაჩუკი სულამანიძე* 2005 წელს ფოთში საუკეთესო საერთაშორისო ტურნირის ჩატარებისთვის, *გელა ანთია* ზუგდიდში კარატეს უანგარო პოპულარიზაციისთვის.

შეჯიბრის დასასრულს, როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ განაცხადა „ეს ტურნირი ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებისთვის საკმაოდ კარგ საშუალებას მოგვცემს. მოხარული ვარ, რომ დღეს კიდევ არაერთი ახალი სახე აღმოვაჩინეთ, რომლებიც მსოფლიო ტატამზე ნამდვილად გვასახელებენ“.

მაშ ასე, ქართულმა კარატემ კიდევ ერთი ნაბიჯი გააკეთა მსოფლიო ტატამზე წარმატებულად გამოსასვლელად.







## „თბილისის თასი 2006“-ის შედეგები:

ვაჟები:
6-7 წელი
I ბექა ხელაშვილი
II ლევან ზუმბულიძე
III გურამ ჯეჯელავა
III ნიკა ჩხაიძე
8-9 წელი,-30 კგ.
I ლადო გოგრიჭიანი
II ირაკლი ლაზარიშვილი
III ნიკა ჩხაიძზე
III ედგარ გურგენიანი
8-9 წელი, -40 კგ.
I დავით ფირცხალაიშვილი
II ვლადიმერ სააკიანი
III გიორგი ნადაშვილი
III ნიკა ნიჟარაძე
10-11 წელი, -40 კგ.
I ირაკლი კირკიტაძე
II დავით დარჩია
III ლუკა ქოჩორაშვილი
III სოსო ფეტელავა
10-11 წელი, -50 კგ.
I პაპუნა მჭედლიშვილი
II ცოტნე ლიპარტელიანი
III რატი ოქრუაშვილი
III ნუკრი ხუციშვილი
12-13 წელი, -45 კგ.
I ლაშა აბრამიშვილი
II ლაშა მამუკასვილი
III ოთარ სეთურიძე
III ირაკლი ჯიბუტი
12-13 წელი, -55 კგ.
I თენგიზ კვერცხიშვილი
II გიორგი ჯიქია
III დავით კარაპეტიანი
III ბექა ქობლიანიძე
12-13 წელი, +55 კგ.
I რეზო ელიზბარაშვილი
II გიორგი აბშილავა
III მამუკა გელაძე
III თორნიკე რთველიშვილი
14-15 წელი, -55 კგ
I გიგა ნაცვლიშვილი
II მიხეილ ბაირამოვი
III დევი ხაჯიშვილი
III სპარტაკ შამუგია
14-15 წელი, -65 კგ.
I აჩი თოფურია
II რეზო ჩქარეული
III გოგიტა შსენგელია
III გენად სიჭინავა
14-15 წელი, +65 კგ.
I ტატო ღვინიაშვილი
II კოტე ბობოხიძე
III გიორგი დანელია
III ლაშა გრძელიშვილი
16-17 წელი, -60 კგ.
I დავით ტყებუჩავა
II გიორგი აივაზაშვილი
III ცოტნე ცომაია
III რევაზ გოგობერიშვილი
16-17 წელი, -65 კგ.
I დავით ტყებუჩავა
II შოთა გუგუტიშვილი
III ემზარ თაგლი
III რევაზ გოგობერიშვილი
16-17 წელი, -75 კგ.
I ბექა მუმლაძე
II გოგა ხუფენია
III რუსლან ჯანჯარია
III ლაშა გრძელიშვილი
16-17 წელი, + 75 კგ.
I გიორგი ლიპარტელიანი
II გოგა ხუფენია
III ვალერ შამოევი
III ლაშა ქვარიანი
გოგონები:
8-9 წელი
I ლილი კვინიკაძე
II თიკო ძიძიკაშვილი
10-11 წელი
I ქეთინო დევდარიანი
II თიკო ორაგველიძე
III თეონა სულამანიძე
III თამარ ქათამაშვილი
12-13 წელი
I თეონა თურქია
II ნონა მერაბიშვილი
III აზა დერბოიანა
III ნინა ჩხაიძე
14-15 წელი
I თამარ ბებია
II თამუნა ხატიაშვილი
III მაია თაყაძე
III ილონა ეფენჯიანი
16-17 წელი
I ქეთინო გოგბერაშვილი
II ეთერ გავაშელი
III ქეთი არაქელაშვილი
III მაია თაყაძე

# კარატეს უფასო სკოლა ზუგდიდში

## საქართველოს დიდი სპორტსმენები და ნამდვილი პატრიოტები უნდა გავუზარდოთ



საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაცია მომავლის საქმის კეთებას აგრძელებს და კარატეს შემსწავლელ უფასო სკოლას ამჯერად სამეგრელო ზემო სვანეთში ხსნის, კერძოდ ზუგდიდში. ამჯერად ხელშეკრულება ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლასთან საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა, მეხუთე დანის მფლობელმა, მამუკა ყურაშვილმა გააფორმა.

„ბავშვის ჰარმონიული აღზრდისთვის საჭიროა ოჯახი, სკოლა, მასწავლებელი, მაგრამ კარატეს დადებითი გავლენა მოზარდის ფსიკიკაზე, სულიერ სამყაროზე და ფიზიკურ განვითარებაზე უზადოა. ასეთი სკოლები და ბავშვთა აღზრდა კარატეს ფილოსოფიითა და წესებით მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია აპრობირებული, მაგალითად: გერმანიაში, ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში და თავად კარატეს სამშობლოში – იაპონიაში. ჩვენ, საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ ეს სისტემა 6 წლის წინ დავნერგეთ ქართულ პრაქტიკაში და შედეგმაც არ დააყოვნა: მივიღეთ წესიერი, ზრდილი, სულიერ-ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბებული პიროვნებები. ამავე დროს, ამ მიდგომით ჩვენ აღმოვაჩინეთ არაერთი ახალი, ნამდვილი კარატეს ტალანტი, რომლებმაც ახალი მიღწევებს დაუდეს საფუძველი საქართველოსა და მსოფლიო კარატეს სარბიელზე. ამ პროგრამამ კიდევ იმით გაამართლა, რომ არაერთი სოციალურად დაუცველი ბავშვი მოვწყვიტეთ ქუჩას, მის ცუდ ზეგავლენას და იგი აქტიური საზოგადოებრივი ერთეული გახდა“, – განაცხადა ხელშეკრულების დადების დროს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნინო ჭიჭინაძე ერთერთი ინიციატორი გახლავთ თავის სკოლაში კარატეს უფასო სექციის გახსნისა. ხელშეკრულების გაფორმების დროს ქალბატონმა ნინომ განაცხადა, რომ „კარატე – სულიერად აღზრდის, სიკეთის კეთების, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების, ვაჟკაცური თვისებების ჩანერგვის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. მე, როგორც პედაგოგი, სკოლის დირექტორი და უბრალოდ საქართველოს მოქალაქე, ჩემს კოლეგებს მოვუწოდებ, რომ ხელი შეუწყონ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ამ დიდებულ იდეას, – კარატეს უფასო სკოლების გახსნას. და რაც მთავარია, ბავშვებს ქუჩას მოვწყვეტთ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩავრთავთ. დარწმუნებული ვარ, კარატე ქართველი ადამიანის მებრძოლ და ამაყ სულთან ძალიან ახლოსაა და მხოლოდ ფიზიკურა და სულიერად ჯანსაღ მომავალ თაობას შეუძლია ერის გადარჩენა“.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა, პაატა ყურაშვილმა ახალი ხელშეკრულება მომავალი თაობის აღზრდის ერთერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნია: „ქართველმა ბავშვებმა კარატე იმდენად უნდა შეისწავლონ, რამდენადაც ჩვენი წარსულისა და მომავლისთვისაა საჭირო. მე ვამაყობ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ამ მომავლის საქმის წამოწყებით და თქვენი თანადგომით, ქალბატონო ნინო! ჩვენ ღირსეულ სპორტსმენებსა და მამულიშვილებს გავუზრდით საქართველოს“.

ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის ახალ პროექტს საქართველოს და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი და გამარჯვებული, სამეგრელო ზემო სვანეთის კარატე-დოს ფედერაციის ერთერთი საუკეთესო ინსტრუქტორი გელა ანთია უხელმძღვანელებს.



ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „შალკემ“ „ბაიერნთან“ წააგო

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები. ინგლისის პრემიერლიგის 30-ე ტურში დამარცხდა ქვეყნის ჩემპიონი და მიმდინარე სეზონში ერთპიროვნული ლიდერი ლონდონის „ჩელსი“. რომან აბრამოვიჩის გუნდმა ვერაფერი გააწყო „ფულემთან“ 0-1. ეს ერთადერთი ბურთი „ჩელსის“ კარში მორატემ გაიტანა.

**ამ შეხვედრაში „ჩელსი“ შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა:** ჩეხი, გალასი, ჰუთი (კარვალიუ, 46), ფერეირა, ტერი, ჯო კოული (დროგბა, 26), ესიენი, ლემპარდი, მაკელელე, რაიტ-ფილიპსი (დაფი, 26), კრესპო.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად 2-1 სძლია „ვესტ ბრომვიჩს“. მასპინძელთა კარში ორივე ბურთი საამ გაიტანა.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ვან დერ საარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ვიდიჩი, გიგზი, რიჩარდსონი (ფლეტჩერი, 89), რონალდუ, რუნი, საა.

„ლივერპულმა“ ასევე სტუმრად 3-1 სძლია „ნიუკასლს“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კრაუჩმა, ჯერარდმა და სისემ.

**„ლივერპული“:** რეინა, აგერი, ჰიუპია (ფაულერი, 90), კარაგერი, კრომკამპი, ჰამანი, ჯერარდი (ხავი ალონსო, 74), კიუელი, ფორნოკი, კრაუჩი (ლუის გარსია, 63), სისე.

**სხვა შეხვედრები:** „ევერტონი — „ასტონ ვილა“ 4-1, „არსენალი“ — „ჩარლტონი“ 3-0, „ბლექბერნი“ — „მიდლსბრო“ 3-2, „ბოლტონი“ — „სანდერლენდი“ 2-0, „მანჩესტერ სიტი“ — „უიგანი“ 0-1, „ვესტ ჰემი“ — „პორტსმუთი“ 2-4, „ბირმინგემი“ — „ტოტენჰემი“ 0-2.

სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 30 | 24 | 3 | 3 | 58-19 | 75 |
| მანჩ. იუნ. | 29 | 19 | 6 | 4 | 58-29 | 63 |
| ლივერპული | 31 | 18 | 7 | 6 | 42-21 | 61 |
| ტოტენჰემი | 30 | 14 | 10 | 6 | 43-28 | 52 |
| არსენალი | 30 | 15 | 5 | 10 | 48-23 | 50 |

**მომდევნო ტური. 25-26 მარტი.** „ასტონ ვილა“ — „ფულემი“, „ჩარლტონი“ — „ნიუკასლი“, „ჩელსი“ — „მანჩესტერ სიტი“, „ლივერპული“ — „ევერტონი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბირმინგემი“, „მიდლსბრო“ — „ბოლტონი“, „პორტსმუთი“ — „არსენალი“, „სანდერლენდი“ — „ბლექბერნი“, „ტოტენჰემი“ — „ვესტ ბრომვიჩი“, „უიგანი“ — „ვესტ ჰემი“.

**გერმანიის ბუნდესლიგის** 28-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა მიუნხენის „ბაიერნმა“ ლევან კობიაშვილის „შალკე“ გაანადგურა 3-0. ბურთები გაიტანეს სალიჰამიჯიჩმა, პისარომ და მაკაიმ.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„ბაიერნი“:** კანი, დემიკელისი, ისმაელი, ლამი (ლიზარაზუ, 65), სანიოლი, სალიჰამიჯიჩი (ოტლი, 85), ბალაკი, ჰარგრივზი, ზე რობერტო, პისარო, გერერო (მაკაი, 54).

**„შალკე“:** როსტი, ბორდონი, კრსტაიჩი, რაფინია, ბაირამოვიჩი (როდრიგესი, 27, ვარელა, 63), ერნსტი, კობიაშვილი, ლინკოლნი, პოულსენი (სანდი, 59), ასამოა, ლარსენი.

**სხვა შეხვედრები:** „ჰერტა“ — „არმინია“ 1-0, „მიონხენგლადბახი“ — „შტუტგარტი“ 1-1, „ლევერკუზენი“ — „მაინცი“ 1-2, „ვოლფსბურგი“ — „ჰამბურგი“ 0-1, „ნიურნბერგი“ — „ვერდერი“ 3-1, „ჰანოვერი“ — „კიოლნი“ 1-0, „აინტრახტი“ — „დუისბურგი“ 5-2, „დორტმუნდი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 26 | 19 | 5 | 2 | 51-19 | 62 |
| ჰამბურგი | 26 | 17 | 5 | 4 | 41-18 | 56 |
| შალკე | 26 | 14 | 9 | 3 | 37-21 | 51 |
| ვერდერი | 26 | 15 | 5 | 6 | 56-32 | 50 |
| შტუტგარტი | 26 | 7 | 15 | 4 | 28-23 | 36 |

**მომდევნო ტური. 25 მარტი.** „შტუტგარტი“ — „ლევერკუზენი“, „კაიზერსლაუტერნი“ — „მიონხენგლადბახი“, „ჰამბურგი“ — „დორტმუნდი“, „მაინცი“ — „ჰერტა“, „შალკე“ — „ვოლფსბურგი“, „არმინია“ — „ნიურნბერგი“, „დუისბურგი“ — „ბაიერნი“, „კიოლნი“ — „აინტრახტი“, „ვერდერი“ — „ჰანოვერი“.

**იტალიის სერია „ა“-ს** 30-ე ტურში კახი კალაძის „მილანმა“ სტუმრად „მიწასთან გაასწორა“ „უდინეზე“ — 4-0. ორი ბურთი მასპინძელთა კარში შევჩენკომ გაიტანა. თითოჯერ თავი გამოიჩინეს ჯილარდინომ და ზეედორფმა.

**„მილანი“:** დიდა, კოსტაკურტა, კალაძე, ნესტა, კაკა, პირლო, ფოგელი (ამბროზინი, 73), ზეედორფი (იანკულოვსკი, 79), სერჯინიო, ჯილარდინო, შევჩენკო (ამოროზო, 73).

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ტურინის „იუვენტუსმა“ 3-1 დაამარცხა „ლივორნო“. გამარჯვებული გუნდის რიგებში თავი გამოიჩინეს ტრეზეგემ (ორჯერ) და დელ პიერომ.

**„იუვენტუსი“:** ბუფონი, ბალცარეტი, ფ. კანავარო, ტურამი, ძებინა (პესოტო, 85), კამორანეზი (მუტუ, 60), ემერსონი, ჯანიკედა, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი, 65).

**სხვა შეხვედრები:** „კიევო“ — „სიენა“ 4-1, „ფიორენტინა“ — „ასკოლი“ 3-1, „ინტერი“ — „ლაციო“ 3-1, „ლეჩე“ — „პარმა“ 1-2, „რეჯინა“ — „ემპოლი“ 0-2, „სამპდორია“ — „პალერმო“ 0-2, „ტრევიზო“ — „კალიარი“ 1-2, „რომა“ — „მესინა“ 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 30 | 24 | 5 | 1 | 60-19 | 77 |
| მილანი | 30 | 21 | 4 | 5 | 67-24 | 67 |
| ინტერი | 30 | 20 | 5 | 5 | 56-23 | 65 |
| ფიორენტინა | 29 | 18 | 5 | 6 | 51-31 | 59 |
| რომა | 30 | 17 | 7 | 6 | 56-30 | 58 |

**მომდევნო ტური. 25-26 მარტი.** „ასკოლი“ — „კიევო“, „მილანი“ — „ფიორენტინა“, „პარმა“ — „ინტერი“, „სიენა“ — „ლეჩე“, „ემპოლი“ — „ლივორნო“, „კალიარი“ — „რეჯინა“, „იუვენტუსი“ — „რომა“, „ლაციო“ — სამპდორია“, „პალერმო“ — „ტევიზო“, „მესინა“ — „უდინეზე“.

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** წლევანდელ სეზონში, როგორც ჩანს, „ბარსელონას“ ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება. 28-ე ტურში ფრანკ რაიკაარდის გუნდმა სტუმრად 2-0 სძლია „სოსიედადს“. მეტოქის კარში ბურთები გაიტანეს ლარსონმა და სამუელ ეტო'მ.

**ამ შეხვედრაში კატალონიური კლუბის შემადგენლობა ასეთი იყო:** ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი (ინიესტა, 16), ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი, ვან ბომელი, ლარსონი (ჟიული, 70), დეკუ (სილვინიო, 80), რონალდინიო, ეტო'ო.



„ბარსელონას“ კონკურენტებმა კი ქულები დაკარგეს. მადრიდის „რეალმა“ საკუთარ მოედანზე ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება „ბეტისთან“ შეხვედრაში — 0-0.

**„რეალი“:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, რამოსი, რობერტო კარლოსი, სისინიო, რაულ ბრავო (მეხია, 50), გუტი, ზიდანი, კასანო (ბაპტისტა, 70), რობინიო, რაული (რონალდო, 54).

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „ვალენსიამ“ სტუმრად მარცხი იწვნია „რასინგთან“ შეხვედრაში.

**სხვა შეხვედრები:** „ხეტაფე“ — „დეპორტივო“ 1-2, „ვილიარეალი“ — „ატლეტიკო“ 1-1, „სევილია“ — „მალიორკა“ 1-1, „კადისი“ — „ალავესი“ 0-0, „ესპანიოლი“ — „ოსასუნა“ 2-4, „მალაგა“ — „სარაგოსა“ 0-1, „სელტა“ — „ბილბაო“ 0-1.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 28 | 20 | 4 | 4 | 66-25 | 64 |
| რეალი | 28 | 16 | 5 | 7 | 50-26 | 53 |
| ვალენსია | 28 | 14 | 10 | 4 | 38-23 | 52 |
| ოსასუნა | 28 | 16 | 4 | 8 | 39-32 | 52 |
| სევილია | 28 | 13 | 6 | 9 | 36-30 | 45 |

**მომდევნო ტური. 22 მარტი.** „ვალენსია“ — „ვილიარეალი“, „ბეტისი“ — „რასინგი“, „სარაგოსა“ — „რეალი“, „დეპორტივო“ — „მალაგა“, „ბარსელონა“ — „ხეტაფე“, „ბილბაო“ — „ესპანიოლი“, „ალავესი“ — „სელტა“, „მალიორკა“ — „კადისი“, „ატლეტიკო“ — „სევილია, „ოსასუნა“ — „სოსიედადი“.

**საფრანგეთის ჩემპიონატის** 31-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლიონმა“ — კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონის ტიტულისაკენ — სტუმრად გაანადგურა „სოშო“ — 4-0. ორი ბურთით ვილტორმა გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს პედრეტმა და მალუდამ.

**სხვა შეხვედრები:** „ლემანი“ — „ნანტი“ 0-0, „აიაჩო“ — „მონაკო“ 1-0, „მეცი“ — „რენი“ 0-1, „ტულუზა“ — ლანსი“ 1-1, „ტრუა“ — „ბორდო“ 1-1, „ნიცა“ — „ნანსი“ 1-0, „ლილი“ — „მარსელი“ 0-0, „სენტ ეტიენი“ — „სტრასბური“ 0-2, პსჟ — „ოსერი“ 4-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 30 | 20 | 8 | 2 | 55-22 | 68 |
| ბორდო | 30 | 15 | 12 | 3 | 32-16 | 57 |
| ლილი | 31 | 14 | 10 | 7 | 42-20 | 52 |
| ოსერი | 31 | 15 | 5 | 11 | 39-32 | 50 |
| მარსელი | 31 | 13 | 9 | 9 | 29-28 | 48 |

## შოთას გოლის წყალობით



ჰოლანდიის ჩემპიონატის 29-ე ტურში გაიმართა ცენტრალური შეხვედრა. „ალკმაარმა“ „ფეიენოორდს“ უმასპინძლა და დაამარცხა მინიმალური ანგარიშით 1-0 ეს ერთადერთი ბურთი შოთა არველაძის ანგარიშზეა. **სხვა შეხვედრები:** „ჰერაკლესი“ — „ვილემი“ 1-0, „ეინდჰოვენი“ — „ნაიმეგენი“ 1-0, „ჰეერენვენი“ — „ვაალვაიკი“ 2-1, „დენ ჰააგი“ — „როდა“ 1-1, „რონინგენი“ — „აიაქსი“ 3-2, „როზენდალი“ — „ტვენტე“ 1-1, „სპარტა“ — „უტრეხტი“ 0-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 29 | 23 | 4 | 2 | 58-18 | 73 |
| ალკმაარი | 29 | 20 | 4 | 5 | 70-27 | 64 |
| ფეიენოორდი | 29 | 19 | 6 | 4 | 71-28 | 63 |
| აიაქსი | 29 | 15 | 5 | 9 | 57-35 | 50 |
| უტრეხტი | 29 | 14 | 7 | 8 | 42-36 | 49 |

## „წიწაკის“ გაზი ფეხბურთელების წინააღმდეგ

ბრაზილიაში კარიოკას შტატის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში „ვასკო და გამასა“ და „ფლამენგოს“ შორის მოხდა სკანდალი. ფეხბურთელები ერთმანეთს ისე წაეჩხუბნენ, რომ პოლიციას მოუხდა საქმეში ჩართვა. სამართალდამცავებმა ეგრეთწოდებული „წიწაკის“ გაზით დააშოშმინა მოჩხუბრები. პოლიციელთა ამ მეთოდმა ფოტორეპორტიორები და ჟურნალისტები დააზარალა.

## მოურინიოა თუ ფიგარო?

დღე არ გავა, რომ ლონდონის „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მოურინიოზე რამე ჭორი რომ არ ითქვას, ან არ დაიწეროს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია - ამ ჭორებზე პასუხის გაცემა არც მოურინიოს ეზარება. გუშინ მან ინგლისურ პრესაში მორიგი ჭორი უარყო, რომლის მიხედვითაც მომდევნო სეზონიდან იგი „ინტერის“ თავკაცი უნდა გამხდარიყო.

„სხვა გუნდში გადასვლას არ ვაპირებ. „ჩელსიში“ კიდევ არაერთი სეზონის გატარებას ვაპირებ არც ამ სეზონის დასრულების შემდეგ და არც არასდროს. რა თქმა უნდა, თუ კლუბის ხელმძღვანელობა ჩემს გადაყენებას არ მოისურვებს. ყოველ შემთხვევაში, იმის პირობას მაინც ვიძლევი, რომ „არისტოკრატებს“ ჩემი ნებით არ მივატოვებ“, - განაცხადა მოურინიომ.

## გაანებეთ ეტო'ოს თავი!

მადრიდის „რეალის“ მცველმა, რობერტო კარლოსმა პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც ყველანაირი ჭორი მისი „სამეფო კლუბიდან“ წასვლის შესახებ უარყო. არადა, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „რეალიდან“ რობერტო კარლოსის წასვლის შესახებ ინფორმაციებით ესპანური პრესა აჭრელებულა.

„ჩემი კარიერა მსურს „რეალში“ დავასრულო. ინფორმაცია ჩემი გუნდიდან წასვლის შესახებ, უბრალოდ, კიდევ ერთი ჭორია და სხვა არაფერი“, - აღნიშნა კარლოსმა.

## მეთოფეებს ძველი შემართება უბრუნდებათ?

შაბათს გამართული „არსენალი“ - „ჩარლტონის“ მატჩი „მეთოფეთა“ გამარჯვებით, ანგარიშით 3-0 დასრულდა. თამაშის შემდეგ, „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა პრესასთან საუბრისას განაცხადა: ‘დღეს ჩემი ფეხბურთელების თამაშით ძალზე კმაყოფილი დავრჩი. ჩვენ სწრაფი გოლის გატანა მოვახერხეთ და ამის შემდეგ, ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჩვენ გვსურდა. გუნდში მოსულმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ადვილად შეძლეს ადაპტირება და პროგრესს კარგი ტემპით განიცდიან. ვატყობ, რომ ‘არსენალს“ ძველი სიძლიერე და შემართება უბრუნდება.“

## კაპელო კმაყოფილია, თუმცა...

შაბათს, იტალიის ჩემპიონატში ‘იუვენტუსმა“ გასვლით თამაშში „ლივორნო“ ანგარიშით 3-1 დაამარცხა. თამაშის შემდეგ „იუვენტუსის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ პრესასთან საუბრისას ასეთი კომენტარი გააკეთა: „ამ თამაშში „ლივორნო“ ბრწყინვალე ფორმაში იყო და აგამარჯვების მოპოვება, მხოლოდ ჩემი ფეხბურთელების შესანიშნავი თამაშის წყალობით მოხერხდა. დღეს „იუვეს“ აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ. გული მხოლოდ ანგარიშზე მწყდება. ჩვენ უამრავი მომენტი გვქონდა და ეს თამაში უფრო დიდი ანგარიშით უნდა დასრულებულიყო“, - განაცხადა კაპელომ.

## ძუნწი მილიონერები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მფლობელმა, ამერიკელმა მილიონერმა მალკოლმ გლეიზერმა გადაწყვიტა, რომ „წითელი ეშმაკების“ მატჩებზე უფასოდ ბილეთები აღარ დაურიგოს იმათ, რომლებსაც კლუბის ისტორიასთან კონკრეტული მომენტები აკავშირებთ.

ამ გადაწყვეტილებამ კლუბის გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია. პროტესტი განსაკუთრებით მაშინ გამძაფრდა, როცა ინგლისის თასზე „მანჩესტერისა“ და „უიგანის“ დაპირისპირების დროს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული ყოფილი მწვრთნელის სერ მეტა ბასბის შვილები არ შეუშვეს და მათ ჩვეულებრივი ბილეთების ყიდვა მოსთხოვეს. შეგახსენებთ, რომ ბასბი სწორედ იმ გუნდის მწვრთნელი იყო, რომლის ფეხბურთელთა უმეტესობა 1956 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. გლეიზერმა, თავისი კლუბის თამაშებზე უფასოდ ყოფილი ცნობილი ფეხბურთელების მოწვევაც შეწყვიტა. გულშემატკივართა აზრით, ეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრადიციების უხეში დარღვევაა.

## ცოლმა მათეუსი სამსახურში არ გაუშვა

ლოთარ მათეუსს ბრაზილიური „ატლეტიკო პარანაენსეს“ თავკაცის პოსტის დატოვება საკმაოდ უცნაურ ვითარებაში მოუხდა. მათეუსი, რომელიც დღემდე გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების მიხედვით (150 თამაში) რეკორდსმენია, ევროპაში, კერძოდ, ბუდაპეშტში გაემგზავრა. იქ მისი მეუღლე, მარიანა და შვილები ცხოვრობენ. ბუდაპეშტში გამგზავრებამდე მათეუსმა დაიბარა, რომ ბრაზილიაში რამდენიმე დღეში დაბრუნდებოდა.

თუმცა, ნურას უკაცრავად. მარიანამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ქმარს აღარ გაუშვებდა და მას თვითმფრინავის უკანა გზის ბილეთები დააბრუნებინა.

მათეუსი იძულებული გახდა მთავარი მწვრთნელის პოსტი ასე ექსპრომტად დაეტოვებინა. „მე შევატყობინე „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელებს, რომ აღარ დავბრუნდებოდი. უკვე აღარ შემიძლია ცოლ-შვილთან ასე ხანგრძლივი განშორების ატანა. იგივე მდგომარეობაში იმყოფებიან ჩემი ოჯახის წევრებიც“, – აღიარა მათეუსმა. ეს ყველაფერი იმით ყოფილა გამოწვეული, რომ მათეუსის მეუღლემ თავის დროზე, ბრაზილიაში ცხოვრებაზე უარი განაცხადა.



ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობა მათეუსის დაბრუნებას დღემდე ელოდება. მათი თქმით, ევროპაში გამგზავრებული მათეუსისაგან გადადგომის შესახებ არანაირი შეტყობინება არ მიუღიათ. ბრაზილიელების დაჟინებული მოლოდინი გასაგებიცაა... სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელისაგან, არც თუ ისე ურიგო მწვრთნელი დადგა. როცა მათეუსი „ატლეტიკოს“ სათავეში ჩაუდგა, ეს კი სულ რამდენიმე თვის წინ, იანვარში მოხდა, გუნდს არც ერთი თამაში არ წაუგია.

# ნბა

NBA

## ზაზა ფაჩულიას ახალი რეკორდი, თანაც ნბა-ს წლევანდელი სეზონის!



ნბა-ს კლუბ „ატლანტაში" მოთამაშე ზაზა ფაჩულიამ სეზონის რეკორდი დაამყარა. მან „ორლანდოსთან" შეხვედრაში 13 ქულა დააგროვა და 18-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. აქედან მეტოქის ფარიდან — 12-ჯერ, რაც რეგულარული წლევანდელი ჩემპიონატის რეკორდია. და კიდევ ერთი: ფაჩულიამ ოვერტაიმში გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და თავის გუნდს თამაში მოაგებინა 108:107.

აქვე გეტყვით, რომ ამ შეხვედრაში ფაჩულიას თანაგუნდელმა ჯო ჯონსონმა 40 ქულა მოაგროვა და 11 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

ახლა სხვა შეხვედრების შესახებ: კვირას „ჩიკაგო" ერთი ქულით დამარცხდა „მაიამისთან". შაკილ ო'ნილმა 13 ქულა მოაგროვა და 5-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „სან-ანტონიოს" არ გასჭირვებია სტუმრად „ჰიუსტონის" ძლევა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით პარკერსა და დანკანს. პარკერმა 23 ქულა მოაგროვა და რვაჯერ სოხსნა ბურთი ფარიდან, ხოლო დანკანის ანგარიშზეა 14 ქულა.



გუშინ „კლივლენდმა" 96:95 დაამარცხა „ლეიკერსი". მეტად საინტერესო იყო ლებრონ ჯეიმსისა და კობი ბრაიანტის პაექრობა მოედანზე. ჯეიმსმა „კლივლენდს" 29 ქულა შესძინა და 9-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, გაცილებით შედეგიანი იყო კობი ბრაიანტი — 38 ქულა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისათვის.

**გუშინდელი სხვა შეხვედრები:** „ნიუ-ჯერსი" — „დალასი" 100:89, „ვაშინგტონი" — „ჩიკაგო" 113:104, „ინდიანა" — „ბოსტონი" 88:103, „მემფისი" — „იუტა" 90:84, „გოლდენ სტეიტი" — „ფილადელფია" 98:89, „მინესოტა" — „საკრამენტო" 95:89, „ნიუ-იორკი" — „მაიამი" 100:111.

## რასელ კროუმ სარაგბო კლუბი იყიდა

**ჰოლივუდის ვარსკვლავმა რასელ კროუმ გადაწყვიტა, რომ შეიძინოს ერთ-ერთი უძველესი ავსტრალიური სარაგბო კლუბი „საუთ სიდნეი". კროუმ თავის მეგობართან – ბიზნესმენ პიტერ ჰოლმსთან ერთად გამოთქვა მზადყოფნა, გადაიხადოს სამი მილიონი ავსტრალიური დოლარი კლუბის შესაძენად.**

## ფრანგული ტრიუმფი მალაიზიაში

**„ფორმულა-1"-ის ეტაპი მალაიზიაში ფრანგულ გუნდ „რენოს" ბრწყინვალე ტრიუმფით დასრულდა. ფინიშთან პირველი ჯანკარლო ფიზიკელა მიიჭრა, ხოლო მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ფერნანდო ალონსო. მესამე იყო „ჰონდას" პილოტი ჯენსონ ბატონი.**

**საინტერესოა, რომ ძირითადი რბოლა ხუთმა ფავორიტმა პილოტმა სასტარტო ბილიკიდან მოშორებით დაიწყო იმის გამო, რომ მათ ბოლიდებს ძრავები ჰქონდათ შეცვლილი. ისე მოხდა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხაელ შუმახერი მეთოთხმეტე ადგილზე გაამწესეს. რბოლის დაწყებისთანავე ფიზიკელა დაწინაურდა. მას კვალში ჯენსონ ბატონი ჩაუდგა. პირველივე წრიდან გამოეთიშა „მაკლარენის" პილოტი კიმი რაიკონენი, რომლის ბოლიდი კრისტიან კლინის „რედ ბულს" წამოეგო. ერთი პერიოდი აუტანელ სიცხეში მიმდინარე რბოლა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა გამოაცოცხლა, რომელმაც რამდენიმე პილოტს გადაუსწრო და მეშვიდე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამ მომენტში რბოლა შეწყვიტეს პილოტებმა დევიდ კულტჰარდმა და მარკ რობერმა. მიზეზი ტექნიკური პრობლემები იყო. ფინიშამდე 18 წრით ადრე ლიდერებმა ფიზიკელამ და ჯენსონ ბატონმა ბოქსებში შეიარეს და ტრასაზე დაწინაურებული ალონსო ცდილობდა სხვაობის გაზრდას, მაგრამ დაბრუნებულმა ფიზიკელამ მაინც შეძლო პირველობის შენარჩუნება. მას ფინიშამდე პრობლემები აღარ შექმნია. ჯანკარლო ფიზიკელას შედეგია: 1 სთ, 30 წთ და 40,52 წმ. მეორე ადგილზე გასული ალონსო გამარჯვებულს ოთხი წამით ჩამორჩა, ჯენსონ ბატონი კი 9 წმ-ით. მეექვსე ადგილი დაიკავა მიხაელ შუმახერმა.**




## გამოეთიშნენ...

სამწუხაროდ, ეკატერინბურგში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი უქართველებოდ გრძელდება. ცნობილია, რომ მეოთხედფინალურ ეტაპს ნინო ხურციძემ და მაია ჩიბურდანიძემ მიაღწიეს. ხურციძის მეტოქე რუსი ალისა გალიამოვა იყო, ჩვენებურმა ძირითადი ორივე პარტია წააგო. რაც შეეხება მსოფლიოს ექსჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს, მისი მეტოქე ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე იყო. ძირითადი პარტიების შემდეგ ანგარიში საყიმო იყო 1-1. ტაიბრეიკებში კი ჩმილიტემ იმარჯვა. ასევე ნახევარფინალში გავიდნენ რუსი სვეტლანა მატვეევა და ჩინელი სიუ იუ ჰუა.

## კვიმატი ობიექტივი




## საკრივო ფრე

გაიმართა ორთაბრძოლა ვბც-ს ეგიდით მსოფლიო ჩემპიონ, პროფესიონალ მოკრივე ჰასიმ რახმანსა და ამ წოდების მაძიებელ ჯეიმს ტონის შორის. მთელი თორმეტი რაუნდის განმავლობაში ატლანტას „ბორდუოკ ჰოლში" შეკრებილმა 8 000 მაყურებელმა თანაბარი ბრძოლა იხილა. მეტოქეები ზედმეტად ფრთხილობდნენ. მათი დარტყმებიც ხშირად უშედეგო იყო. ერთი სიტყვით, ბრძოლა არცთუ ისე მიმზიდველი აღმოჩნდა სანახაობრივად, რამაც მაყურებლები გაანაწყენა. ამას ხშირად სტვენით გამოხატავდნენ. საბოლოოდ, რეფერებმა ფრე დააფიქსირეს. ასეთმა შედეგმა ჰასიმ რახმანს ჩემპიონის ტიტული შეუნარჩუნა. მან ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ თავს გამარჯვებულად თვლის. ასეთივე აზრი გამოთქვა ტონმაც. ორივე მეტოქე ერთმანეთს ადანაშაულებდა იმაში, რომ ახლო დისტანციაზე ბრძოლას გაურბოდნენ. ახლა, რახმანი ოლეგ მასკაევს შეხვდება. მისი თქმით მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს.

## რუსული ფინალი ამერიკაში

აშშ-ში დასრულდა ინდიან უეისის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში ქალთა შორის, რომლის საპრიზო ფონდი 2 მილიონ 100 ათასი დოლარი გახლდათ. ფინალი რუსული გამოდგა: ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მარია შარაპოვა და ელენა დემენტიევა. შეგახსენებთ, რომ შარაპოვამ ნახევარფინალში მარტინა ჰინგისი დაამარცხა, ხოლო დემენტიევამ ბელგიელ ჟიუსტინ ენენ-არდენს სძლია. ფინალური შეხვედრა შარაპოვას უპირატესობით მიმდინარეობდა და მან დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა, — 6:1, 6:2. ეს იყო მარიას მიერ მოგებული მეთერთმეტე ტურნირი. ჟურნალისტებთან საუბარში შარაპოვამ გამოთქვა იმედი, რომ ამ სეზონში ტრავმები არ შეაწუხებს და მალე დაიბრუნებს მსოფლიო ჩოგბურთელთა რეიტინგში პირველ საფეხურს.

ვაჟთა ტურნირის საპრიზო ფონდი სამი მილიონ 170 ათასი დოლარი იყო. ფინალში შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჯე ფედერერმა დაამარცხა ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი 7:5, 6:3, 6:0.





## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

21 – 23 მარტი

**21 მარტი, სამშაბათი**

საქართველოს ტელევიზია. „მზე". ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „არსენალი" — „ჩარლტონი" (12.00). HTB плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (11.25). ჭადრაკი. მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (11.45). „ექო" (12.15). „რკინის ფაქტორი" (15.15). „ბურთი და ფარი" (15.55). ამერიკული ფეხბურთი (17.00). წყალში ხტომა. ესპანეთის გრან პრი (2.30). კალათბურთი. ფიბას მატჩების მიმოხილვა (21.30). აფროსნობა (22.30). სნოუბორდი (0.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი" — „ნეშვილი" (4.30). ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (9.30). EUROSPORT. სნუკერი (11.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ (14.00). ევროგოლები (15.15). კერლინგი (19.30). ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00). ფრენბურთი (3.30).

**22 მარტი, ოთხშაბათი**

HTB плюс спорт. ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი" — „ნეშვილი" (22.45). ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის (14.00). „სპორტული სოლო" (14.45). წყალში ხტომა (15.45). სნოუბორდი (17.35). კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (18.35). ჰოკეი (19.20). „თოვლის სამყარო" (22.15). ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. „ინტერნასიონალი" (ბრაზილია) — „პუმასი" (მექსიკა) (2.25). EUROSPORT. სნუკერი (11.30). ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00). კერლინგი (19.00). ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (22.00). აფროსნობა (22.30). გოლფი (22.45). ფიგურული ციგურაობა (0.45).

**23 მარტი, ხუთშაბათი**

HTB плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (11.25). ჰოკეი (11.45). „თოვლის სამყარო" (14.30). ფრენბურთი (15.00). სნოუბორდი. მსოფლიო თასის გათამაშება (16.30). ჰოკეი (17.20). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „სან-ანტონიო" — „გოლდენ სტეიტი" (20.10). ფრენბურთი. პროგრამა „ექსი ექსზე" (22.15). კვირის მიმოხილვა (23.15). კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (0.00). ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის (0.30). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „მონრეალი" — „ტორონტო" (4.30). წყალში ხტომა (8.30). EUROSPORT. სნუკერი. ჩინეთის ღია ჩემპიონატი (11.30). ბიათლონი. მსოფლიო თასის გათამაშება (14.00). კერლინგი (16.00). ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.45). სნუკერი (2.15). ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (4.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 6. მოკლემეტრაჟიანი ქართული სპორტული ფილმი ი. ხვიჩიას მონაწილეობით, 9. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 10. ფარიკაობაში შეჯიბრების დაწყების ნიშანშეძახილი, 11. XX საუკუნის დასაწყისში ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 12. პრესტიჟული ჯილდო მოჭადრაკეებისთვის, 13. პრესტიჟული თასის სახელწოდება ჩოგბურთში, 17. მყვინთავის აპარატი, 18. სასროლეთი, 20. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 21. ფულისა და ნივთების გათამაშება, 22. კალათბურთელ ცქიტიშვილის მეტსახელი, 24. ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი, 26. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 27. ლატვიის საფეხბურთო კლუბი.




**შვეულად:** 2. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 3. ცნობილი ბრაზილიელი სამხტომელი, ვეტერანი, 4. საფრანგეთის მორაგბეთა კლუბი, 5. ერთ-ერთი ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 6. ტექნიკური ჯარიმა კალათბურთში, 7. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 8. მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 10. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 14. ლეგენდარული რუსი ფალავანი ციმბირიდან, 15. არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი, 16. ადრე სენაკის საფეხბურთო გუნდი, 19. კაპელოს სახელი, 20. საჩოგბურთო მოედანი, 22. არიგო ... 23. „რომას" ფეხბურთელი, 25. თანაბარი შედეგი სპორტში.

მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ

## საჭადრაკო ამოცანა

ი. მირონოვი

„შახმატნოე ობოზრენიე" (1987 წ.)




შამათი 2 სვლაში

№17-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლc5!

1..... a3 2. კc8X

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „სკონტო", 8. კროში, 10. კუ, 11. სხეა, 12. აკვალანგი, 14. „ლუვეე", 16. „ნიამორი", 18. ლუა, 19. ბილიარდი, 20. „ტრუა", 21. იპონი, 24. კალოევი, 25. „გრაცია", 29. მალაყი, 30 რურუა, 31. ტანდემი, 33. „ვარძია", 34. ლოტო, 35. „არიზონა", 36. სო.

**შვეულად:** 1. სსუ, 2. ნახევარმცველი, 3. ოკა, 4. ხოფერია, 5. ფალიანი, 6. ტანგო, 7. სტილი, 9. ივანიშვილი, 10. „კიოლნი", 13. ალა, 15. შავლაყაძე, 17. „რენი", 22. პირუეტი, 23. არანტა, 26. ფარვა, 27. ბალცო, 28. ეტლი, 32. იტო, 34. ლი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com